საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 6 ივლისი. 2020 წ. №83 (9009) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

უნდა გამოათრიო ეს ეშმაკის მოციქული გვარამია გარეთ და ტელევიზიაც დაუხურო!

4

გაბუნიები, კუპრავები, კაპანაძეები და მათი ჯოგი ნაგვები არიან!

5



უბედური შემთხვევა

ენგურის ხიდთან 4 ქალი დაიხრჩო

ძალბატონები გვიან ღამე ენგურის ხიდზე გადმოსვლას ცდილობდნენ. იმის გამო რომ ენგურის ხიდი დაკეტილია, ქალები გალის რაიონიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე რუხის ხიდთან ახლოს მდინარე ენგურის გადმოლახვას ცდილობდნენ.

სავარაუდოდ, სწორედ ამ დროს ადიდებულმა მდინარემ ოთხივე ქალი იმსხვერპლა.

ადგილობრივები ამბობენ, რომ ქალბატონები სიგარეტის გადმოსატანად გალის რაიონში იმყოფებოდნენ და მათივე ინფორმაციით, გარდაცვლილების ცხედრები ოკუპირებულ სოფელშია დასვენებული. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ სოფელი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიას არ ეკუთვნის, ადგილობრივებთან ჯერჯერობით უწყების ოფიციალური ცნობა არ მოსულა.

დონალდ ტრამპი:

ერთად ვიბრძოლებთ ამერიკული ოცნებისთვის...

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აცხადებს, რომ „რადიკალი მემარცხენეების დამარცხების პროცესშია“, – ამის შესახებ მან თეთრი სახლის ეზოში აშშ-ის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„ამერიკელმა გმირებმა დაამარცხეს ნაცისტები, დაამარცხეს ფაშისტები, დაამხეს კომუნისტები, გადაარჩინეს ამერიკული ღირებულებები, დაიცვეს ამერიკული პრინციპები და დევნიდნენ ტერორისტებს დედამიწის ბოლოში. ახლა ჩვენ ვიმყოფებით რადიკალი მემარცხენეების, მარქსისტების, ანარქისტების, აგიტატორების, მაროდიორობის დამარცხების პროცესში. იმ ადამიანების, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში წარმოდგენა არ აქვთ, რას აკეთებენ“, – განაცხადა დონალდ ტრამპმა. მან მიმართა საზოგადოებას, რომ ერთად დაიცავენ და შეინარჩუნებენ ცხოვრების ამერიკულ წესს.

„ჩვენ არასდროს დავუშვებთ, რომ განრისხებულმა დაჯგუფებამ დაამხოს ჩვენი ძეგლები, წაშალოს ჩვენი ისტორია, შთააგონონ ჩვენი შვილები ან გათელონ ჩვენი თავისუფლებები. ჩვენ დავიცავთ ჩვენს ღირებულებებს, ტრადიციებს, წესებსა და რწმენას. ჩვენ ვასწავლით ჩვენს შვილებს თავისი ქვეყნის მოვლასა და სიყვარულს, რომ მათ შეძლონ მისი მომავლის შენება. ერთად ჩვენ ვიბრძოლებთ ამერიკული ოცნებისთვის, დავიცავთ და შევინარჩუნებთ ცხოვრების ამერიკულ წესს“, – აღნიშნა აშშ-ის პრეზიდენტმა. თეთრ სახლში აშშ-ის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, ტრამპის ადმინისტრაციის მიწვევით, ასობით მედიკოსმა მიიღო მონაწილეობა. აშშ-ის პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, სამხედრო საჰაერო შოუ და ფოიერვერკი მოეწყო.

რუსეთი ისევ ლუგარის ლაბორატორიას უტევს!

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ეხმაურებიან.

„რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მორიგი დეზინფორმაციული შეტევა განახორციელა რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრზე, რომელიც წარმოადგენს საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული თანამშრომლობის ერთ-ერთ მაგალითს. საყურადღებოა, რომ ერთ-ერთი წინა დეზინფორმაცია 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გავრცელდა. მაშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ვრცელი, არგუმენტირებული პასუხი გასცა ცრუ ბრალდებებს ლუგარის ცენტრის საქმიანობის თაობაზე. შესაბამისად, აღარ შევალთ განხილვებში და აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სწორედ ლუგარის ცენტრის თანამშრომლების, საქართველოს ექიმების, ეპიდემიოლოგების, ხელისუფლებისა და მთელი საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევის შედეგია დღეს არსებული წარმატება კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლის თვალსაზრისით, რომლის გამოც რამდენიმე დღის წინ საქართველო ევროკავშირის მიერ უსაფრთხო ქვეყნების სიაში იქნა შეტანილი. ცენტრის მუშაობა სრულიად ტრანსპარენტულია, რაც არაერთხელ დადასტურდა, მათ შორის 2018 წელს, როდესაც განხორციელდა საერთაშორისო ვიზიტი ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის აკრძალვის კონვენციის ფარგლებში. ამ საერთაშორისო მისიაში რუსი ექსპერტებიც იყვნენ მოწვეულნი, თუმცა მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. რუსეთის მხარეს კვლავ მოვუწოდებთ, თავი შეიკავოს უსაფუძვლო ბრალდებებისა და საქართველოს ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების საკვანძო ინსტიტუტზე დეზინფორმაციის გავრცელებისაგან და იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულია რეალური სურათის დანახვაში, მონაწილეობა მიიღოს კონვენციის ფარგლებში არსებული მექანიზმების შესაბამისად დაგეგმილ საერთაშორისო ვიზიტებში“, – აცხადებენ საქართველოს საგარეო უწყებაში.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის რუსეთის საზღვრების სიახლოვეს აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ბიოლოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებით სერიოზული კითხვები აქვს. ამ კონტექსტში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ლუგარის სახელობის ლაბორატორიას ახსენებს. რუსეთის საგარეო უწყებაში აღნიშნავენ, რომ ლუგარის ცენტრში განთავსებულია აშშ-საქართველოს სახმელეთო ძალების სამედიცინო კვლევების სამმართველო. სამინისტროს განცხადებით, ამერიკელი კოლეგები აღნიშნული სამხედრო დანაყოფის მიერ ჩატარებულ კვლევებზე დუმილს ამჯობინებენ.

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 8 ივლისს

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲐ

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲨᲘᲓᲐ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ.

ᲥᲐᲯᲔᲗᲘᲡ ᲪᲘᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲡᲜᲘᲡ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲮᲔᲡᲘᲛᲐᲒᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲮᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲝᲧᲣᲠᲔᲨᲘ ᲛᲐᲜᲐ�გᲐᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲜᲘ ᲛᲝᲘᲜᲐᲮᲣᲚᲐ, ᲡᲝᲤᲔᲚ ᲘᲡᲣᲜᲓᲔᲠᲨᲘ ᲠᲐᲰᲩᲮᲐᲡ ᲩᲐᲜᲩᲮᲔᲠᲖᲔ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲠᲘᲡ ᲪᲘᲮᲔᲡᲘᲛᲐᲒᲠᲔᲪ ᲓᲐᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲐ.

* * *

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲑᲐᲚᲜᲘᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠ ᲙᲣᲠᲝᲠᲢ ᲚᲐᲨᲘᲭᲐᲚᲐᲡᲐᲪ ᲔᲬᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲚᲐᲯᲒᲐᲜᲣᲠᲐᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ.

„ᲚᲐᲨᲘᲭᲐᲚᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲐᲚᲜᲘᲝ-ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲣᲠ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓ�გᲘᲚᲘ ᲣᲙᲐᲕᲘᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲚᲔᲕᲐ ᲐᲮᲓᲔᲜᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚ ᲛᲐᲜᲝᲠᲛᲐᲚᲘᲖᲔᲑᲔᲚ ᲖᲔ�გᲐᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲡᲐᲭᲛᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲞᲐᲗᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲓᲔ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲔᲑᲖᲔ.

ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ, ᲑᲝᲚᲝ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲚᲐᲨᲘᲭᲐᲚᲐᲡ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲑᲐᲖᲐᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲖᲔ�გᲐᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲔᲜ: �გᲣᲚ-ᲡᲘᲡᲮᲚᲫᲐᲠᲚᲕᲗᲐ, ᲔᲜᲓᲝᲙᲠᲘᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ �პᲔᲠᲘᲤᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲜᲔᲠᲕᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲧᲠᲓᲔᲜ-ᲛᲐᲛᲝᲫᲠᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ Ა�პᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲠᲓᲡᲐᲡᲥᲔᲡᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲖᲝ�გᲘᲔᲠᲗᲘ ᲞᲐᲗᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲔᲑᲖᲔ“, — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ.

ᲛᲐᲗᲘᲕᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ, ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲪᲐᲒᲔᲠᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲘᲡ �კᲐᲛ�პᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲐ.

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲛᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲛᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ. ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲮᲐᲠᲘ 15-ᲛᲐ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲛᲐ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲐ. ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲔ�გᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ, ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲓᲔᲑᲐ.

ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲗ 6 ᲛᲐᲟᲝᲠᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲝᲚᲥᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ. 2020 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ 21 ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲡ ᲛᲐᲟᲝᲠᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ, 18 ᲙᲘ ᲞᲠᲝ�პᲝᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲐᲘᲠᲩᲔᲕᲔᲜ. ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕ ᲑᲐᲠᲘᲔᲠᲖᲔ, ᲑᲚᲝᲙᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ. ᲑᲝᲘᲙᲝᲢᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲨᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“. ᲛᲐᲗᲘᲕᲔ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲐᲠ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲐ 8 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ. ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲡ ᲔᲕᲠᲝ�პᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ „ᲑᲣᲠᲯᲐᲜᲐᲫᲔ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲪ ᲐᲠ ᲔᲡᲬᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ.

ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ. ᲛᲐᲗᲘᲕᲔ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲐᲠ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲕᲔᲗᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ. ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ ᲒᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲑᲐᲦᲨᲘ ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ „ᲓᲐᲜᲔᲠ�გᲔ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ“ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ, �გᲝᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲤᲮᲕᲔᲜᲘᲡᲨᲘ ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲛᲐ ᲐᲜᲢᲝᲜ ᲯᲐᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲮᲘᲚᲘᲡ ᲑᲐᲦᲘ 2015 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲐᲨᲔᲜᲐ. ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲛᲐ 8 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ ᲑᲚᲘᲡ ᲑᲐᲦᲘᲡ ᲒᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲬᲧᲐᲕᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ 72,000 ᲚᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ 49,000 ᲚᲐᲠᲘ ᲜᲔᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲔᲜᲐᲓ, ᲮᲝᲚᲝ 23,000 ᲚᲐᲠᲘ ᲬᲕᲔᲗᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲬᲔᲚᲡ Ი�გᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ 30 ᲢᲝᲜᲐ ᲑᲐᲚᲡ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ. ᲑᲐᲦᲨᲘ 32 ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘ.

„ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ, ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ „ᲓᲐᲜᲔᲠ�გᲔ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ“ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ �გᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲦᲔᲑᲘ 10,000 ᲰᲐ-ᲛᲓᲔ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲨᲘᲓᲐ-ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ, ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲮᲔᲮᲘᲚᲘᲡ ᲑᲐᲦᲘ, ᲯᲐᲛᲨᲘ, 2,400 ᲰᲐ-ᲛᲓᲔ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲖᲔ �გᲐᲨᲔᲜᲓᲐ, ᲒᲐᲪᲔᲛᲣᲚᲛᲐ ᲗᲐᲜᲐᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐᲛ 16 ᲛᲚᲜ-ᲛᲓᲔ ᲚᲐᲠᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ. ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ „ᲓᲐᲜᲔᲠ�გᲔ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ“ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲔᲢᲐ�პᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲗ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲪᲕᲚᲔᲑᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲐ“, — �გᲐᲜᲐᲮᲐᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲗᲐᲛᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ.

ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲡ „ᲓᲐᲜᲔᲠ�გᲔ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ“ ᲡᲝᲤᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝ, „ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ Ა�გᲠᲝᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ“ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ, 2015 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ. „ᲔᲠᲗᲘᲐᲜ Ა�გᲠᲝᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ“ �გᲐᲗᲕᲚᲘᲚᲘᲐ �გᲠᲫᲔᲚᲕᲐᲓᲘᲐᲜ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ �კᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲢᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐᲡ, ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠ ᲖᲠᲓᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘᲡ ᲣᲕᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠ�გᲕᲐᲡ.

ᲡᲝᲤᲔᲚ ᲠᲣᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲘᲠᲘ�გᲐᲪᲘᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲔᲑᲐ

ᲨᲞᲡ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲚᲘᲝᲠᲐᲪᲘᲘᲡ“ �გᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲬᲘᲗᲚᲘᲫᲔ ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲠᲣᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲠᲘ�გᲐᲪᲘᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲡᲐ�კᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ. ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲡᲐᲠᲬᲧᲐᲕᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲠᲔ�გᲣᲚᲘᲠᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲤᲔᲠᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲘᲔᲬᲝᲓᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ, ᲒᲐᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ, ᲠᲐᲪ ᲢᲐᲨᲘᲡᲙᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲖᲔ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲠᲣᲘᲡᲨᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚ ᲨᲔᲤᲔᲠᲮᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲚᲛᲝᲤᲮᲕᲠᲘᲡ.

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲛᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲛ ᲓᲐᲘᲪᲕᲐᲡ წყალმოხმარების გრაფიკი, რათა წყალი თანაბრად გადანაწილდეს. პარალელურად მიმდინარეობს რუისის სატუმბი სადგურის მოწყობის სამუშაოები. სამუშაოების პირველი ეტაპი მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში დასრულდება, ხოლო პროექტის სრულად დასრულება მომავალი წლის სარწყავი სეზონისთვისაა დაგეგმილი. სატუმბი სადგურის მოწყობა სტაბილურ წყალმომარაგებას უზრუნველყოფს. სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს ასევე ტაშისკარის სარწყავი სისტემის ერთ-ერთ წყალგამანაწილებელზე, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტში დამატებით 135 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული მოირწყვება.

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ: ᲑᲝᲚᲝ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲕᲘᲠᲐᲐ, ᲙᲝᲕᲘᲓᲘᲜᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲗᲐ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐ ᲢᲠᲐᲘᲚᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲫᲚᲝᲚᲔᲑᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ

ᲑᲝᲚᲝ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲗ ᲘᲜᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲗᲐ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐ ᲢᲠᲐᲘᲚᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲫᲚᲝᲚᲔᲑᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ, — ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲛᲐ ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ „ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ.

„ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲙᲝᲕᲘᲓᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲡ ᲔᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ. ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ, ᲔᲡᲐᲐ ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲒᲐᲜ, ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ, ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ, ᲑᲝᲚᲝ ᲡᲐᲛᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲔᲡᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲢᲠᲐᲘᲚᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲫᲚᲝᲚᲔᲑᲘ“, — �გᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲑᲝᲚᲝ 24 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ 3 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲓᲐᲣᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ, 3 ᲙᲘ �გᲐᲛᲝᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲓᲐ. ᲡᲐᲛᲘᲕᲔ ᲘᲜᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ. ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲯᲐᲛᲨᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘ 951 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲓᲐᲣᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ, ᲐᲥᲔᲓᲐᲜ 828 ᲣᲙᲕᲔ �გᲐᲛᲝᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲓᲐ, 15 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ.

ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲠᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲘᲡᲘᲗ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ 136 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲔᲠᲝ�პᲝᲠᲢᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲩᲐᲠᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲘᲡᲘ ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ 136 Მ�გᲖᲐᲕᲠᲘ ᲩᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲐ.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲩᲐᲠᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲪ

იმედი მაქვს, მალე შევხვდებით!

ბატონო ბიძინა!

უკვე ისეთ ასაკში ვარ, რომ მიჭირს ხმა არ ამოვიღო ისეთ თემებზე, რომლებიც დღესაც ისევ მაწუხებს, როგორც წლების წინათ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ის თემებია, რომლებიც თქვენთვისაც მეტად საგულისყურია.

თქვენ მეტ-ნაკლებად მიცნობთ, ამიტომ არ დავიწყებ საკუთარი ბიოგრაფიის მოყოლას, არც საკუთარი რეგალიებისა და ორდენების ჩამოთვლას... მხოლოდ ორ ამბავზე შევჩერდები, რომელსაც ჩემს ცხოვრებაში ჰქონდა ადგილი: 1993 წელს გამოვიდა წიგნი „100 თბილისელი“, რომლის იდეის ავტორი და გამომცემელი იყო ამიერკავკასიის ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდენტი გივი ფაცურია. როგორც მან მითხრა, ჩატარდა 2000-ზე მეტი სხვადასხვა ასაკის და პროფესიის თბილისელის გამოკითხვა, რათა დაესახელებინათ ის ადამიანები, ვისი ხილვაც სურდათ წიგნში, რომელშიც უნდა შესულიყო 100 ცნობილი თბილისელი. როგორც ბატონმა გივიმ აღნიშნა, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ერთ-ერთი პირველი ადგილი ჩემს უფროს ძმას ჯანსუღს ერგო, რაც არავის გაჰკვირვებია. ის, რამაც მე სრულიად გამაოცა, იყო ჩემი დასახელება ამ 100 ღირსეულ თბილისელთა შორის!.. გამაოცა, რადგან ჯერ მარტო ჩემს სამეგობროში მოიძებნება ბევრი ისეთი ადამიანი, რომელსაც დამსახურების მიხედვით, ჩემზე მეტად შეეფერებოდა 100 საუკეთესო თბილისელთა შორის ყოფნა, მაგრამ ეს პატივი ხალხმა მე მარგუნა! რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის ძალიან დიდი ბედნიერება იყო და დღემდე ვცდილობ, ღირსეულად ვატარო კოლორიტი თბილისელის სახელი.

მეორე ამბავი, რითაც არანაკლებ ვამაყობ, ჩვენს პატრიარქს ეხება. თავის დროზე, ჩემი ინიციატივით ეკლესიას საკუთრებაში გადავეცით სიღნაღში არსებული ორი შენობა და ერთი ჰექტარი მიწა, რაც სატყეო მეურნეობის სამინისტროს საკუთრებაში შედიოდა. ამ ღირსშესანიშნავი ფაქტის გამო პატრიარქმა სატრაპეზოდ მიმიწვია ბოდბეში. ეს მართლაც დაუვიწყარი დღე იყო, მან დამლოცა და ამ მცირედი სიქველის გამო ძალიან თბილი და ძვირფასი სიტყვებით შემამკო...

ესაა ჩემი ბიოგრაფიის გამორჩეული, ძალიან ნათელი წერტილები და ვთვლი, რომ ღირსეულად ვიცხოვრე და ასევე კარგად ვცნობ და ვაფასებ იმ პატრიოტ, მართლაც ღირსეულ ადამიანებს, რომელთა რიგებში უპირველესი თქვენ ბრძანდებით, ბატონო ბიძინა! ყველამ იცის ჩემი თქვენდამი პატივისცემა,. იმ აუწონავი ღვაწლისა და ამაგის გამო, რაც საქართველოს და მის შეჭირვებულ შვილებს უშურველად უძღვნით. აღარაფერს ვამბობ იმ გულწრფელ მხარდაჭერაზე, რომელიც თქვენ მიმართ არაერთხელ გამომიხატავს პრესაში თუ მიტინგებზე, სადაც სიტყვითაც არაერთხელ გამოვსულვარ.

ჩემი დიდი სურვილია, როგორმე პირისპირ შეგხვდეთ და სულ ორი სიტყვით მოგიყვეთ ჩემი დღევანდელი საწუხარის გამო და ასევე პირისპირ მადლობა გადაგიხადოთ იმისთვის, რასაც თქვენი და ჩემი სამშობლოსთვის აკეთებთ!..

პაგივისცემით

ჯიმი ჩარკვიანი

ტელ: 222 68 14, 599 71 68 14.

ინვესტიცია საქმის მოზიდვაა და არა - ფულის!

ხვალ რომ დამთავრდეს პანდემია, 1.5 წლის განმავლობაშიც ვერ აღდგება საინვესტიციო ნაკადი!

ინვესტიციების **თვალსაზრისით საქართველოში ცუდი ვითარებაა და, როგორც ჩანს, ასე კარგა ხანს გაგრძელდება. ყოველ შემთხვევაში, დამაიმედებელ პროგნოზს ვერც მთავრობის წევრები და ვერც სპეციალისტები აკეთებენ. არათუ წელს, გაისადაც საეჭვოა ქვეყანაში უცხოური კაპიტალის შემოდინების მაჩვენებელი ასე თუ ისე მისაღებ ნიშნულს დაუბრუნდეს.**

საგაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელი **გიორგი პერტაია** მიიჩნევს, რომ მსოფლიოში კაპიტალდაბანდების შემცირების ტენდენცია პირველ რიგში, განვითარებადი ქვეყნებისთვის ართულებს ინვესტიციების მოზიდვას.

„ცოტა პესიმისტურად ვარ განწყობილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ. დავუშვათ, ხვალ რომ დამთავრდეს პანდემია, 1.5 წლის განმავლობაშიც ვერ მივალთ იმ დონემდე, რაზეც ვიყავით, მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც არ ვიცით, როდის დამთავრდება პანდემია.

სხვადასხვა კვლევები მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 40%-იან კლებაზე ლაპარაკობენ და ხაზს უსვამენ, რომ ვარდნა განვითარებად ქვეყნებში მეტი იქნება. ინვესტიციები აუცილებლად დაეცემა სამწუხაროდ, მაგრამ არის მეთოდები, რომლითაც კაპიტალის მოზიდვა შეგვიძლია რაღაც დონემდე ავწიოთ“, — განაცხადა გიორგი პერტაიამ.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელმა პირდაპირი უცოხური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით ორი მიმართულება გამოყო: ადგილობრივ ინვესტორებთან მუშაობა და მსოფლიოში მორღვეულ მიწოდების არხებზე მუშაობა.

„ყველაზე მოკლე გზა არის ის, რომ არსებული ინვესტორები ვინც არიან საქართველოში, მათთან ინდივიდუალურად უნდა ვიმუშაოთ, შევთავაზოთ კონკრეტული პროექტები და ფულის ჩადება. მათთან უფრო მარტივია საუბარი, ვიდრე ვიღაც უცხოელთან, რომელიც ისედაც ან აპირებდა, ან არ აპირებდა საქართველოში ინვესტირებას და ახლა პანდემიის პირობებში რამდენად გარისკავს, არ ვიცით.

მეორე მეთოდი არის ის, რომ იმ მიწოდების არხებში, რომელიც მსოფლიოში ბევრგან მოირღვა, იგივე ბანგლადეშში ან ვიეტნამში წარმოებულ პროდუქციაზე, ამ მიმართულებაში ჩავჯდეთ, რთულია, მაგრამ უნდა ვეცადოთ“, — აღნიშნა პერტაიამ.

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2020 წლის 1 კვარტალში 165.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის 1-ლი კვარტალის წინასწარ მონაცემებზე 41.7 პროცენტით ნაკლებია. იანვარ-მარტში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა ყველაზე დაბალია 2009 წლის შემდეგ.

PMCG კვლევითი ცენტრის გენერალური დირექტორის **ლექსო ალექსიშვილის** შეფასებით, ინვესტიციების მიმართულებით საქართველო არც გასულ

წლებში იყო წარმატებული ქვეყანა და ამას მრავალი ფაქტორი უშლიდა ხელს.

„ინვესტიციების კუთხით პანდემიამდეც მდგომარეობა არ იყო მთლად სახარბიელო და ინვესტიციებთან დაკავშირებით ჩვენ გვქონდა გარკვეული პრობლემები. ინვესტიციების თვალსაზრისით საქართველო ვერ თამაშობს წამყვანი ქვეყნის როლს რეგიონში და გაცილებით უფრო ბევრი შესაძლებლობა გვაქვს. მაგალითად, თუ შევხედავთ 2017-2018 წლებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან შედარებით, მაშინ ინვესტიციების წილი მშპ-ში გვაქვს ყველაზე მაღალი, იმიტომ რომ ჩვენ ამ რეგიონში ვცხოვრობთ და ამ რეგიონიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ“, — განაცხადა ალექსიშვილმა.

ალექსიშვილი იმ გამოწვევებს ასახელებს, რომელიც ინვესტიციის მოზიდვას უშლის ხელს. ეს არის რამდენიმე მიმართულებით თავისუფლება, კერძოდ, ბიზნესისთვის თავისუფლება, რეგულაციების სიმცირე, გადასახადების სიმცირე, თავისუფალი ვაჭრობა, თავისუფალი მიგრაციის შესაძლებლობა.

„ჩვენ უნდა შევძლოთ საქართველოში მაღალკვალიფიციური მოხელეების ჩამოყვანა, რათა მათ აქედან მართონ ბიზნესი მთელი მსოფლიოს მასშტაბით და არა მხოლოდ საქართველოში. ამას ემატება სამართლის უზენაესობა და განათლება და შრომის კულტურა, რომელიც მცირეა ამ ქვეყანაში, იმისთვის, რომ ჩვენ დიდი ამბიციები შევასრულოთ ამ პროცესში და ინვესტიციები მოვიზიდოთ.

ინვესტიცია ეს არ არის ფულის მოზიდვა. ინვესტიცია ეს არის საქმის მოზიდვა და საქმე რომ მოვიზიდოთ, ჩვენ ამ საქმისთვის მზად უნდა ვიყოთ და საქმისთვის რამდენად ვართ მზად, ეს არის ყველაზე მთავარი შეკითხვა“, — განმარტა ალექსიშვილმა.

წლის დასაწყისიდან ინვესტიციების კლების ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ ქვეყნების უმრავლესობიდან შემომავალი საინვესტიციო ნაკადები მკვეთრად შემცირდა. ამასთანავე, რამდენიმე შემთხვევაში აღირიცხა საქართველოდან ინვესტიციების გადინებაც, რაც ინვესტორთა მხრიდან ვალდებულების მომსახურებას უკავშირდებოდა. რამდენიმე ქვეყნიდან, რომლებიც ტოპ ინვესტორთა რიგებში იყვნენ, პირიქით, გამსვლელი საინვესტიციო ნაკადები დადასტურდა. მათ შორისაა აზერბაიჯანიც, სადაც საქართველოდან 13.9 მილიონი დოლარი გავიდა. ამაზე უფრო დიდი იყო გამსვლელი საინვესტიციო ნაკადი ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებში და ის მინუს 38 მილიონ დოლარს შეადგენდა.

ეკა ბაძრაძე

რეგულაციებმა მედიკამენტი არ უნდა გააძვიროს!

მედიკამენტების **რეგისტრაციის ვადების გახანგრძლივების გამო ბიზნესსა და მთავრობას შორის მწვავე დაპირისპირებაა. ბიზნესი ბიუროკრატიულ პრობლემებს და გაძვირების საფრთხეს ხედავს, ხოლო მთავრობა კონტროლის დეფიციტს უჩივის.**

ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მედიკამენტის რეგისტრაციის ვადა წამლებზე ფასების გაზრდას გამოიწვევს. დოკუმენტის მიხედვით ეს ვადა 7-დან 30 დღემდე იზრდება, თუმცა კომიტეტის თავმჯდომარე **დიმიტრი ხუნდაძე** ვადის 15 დღემდე გაზრდის ინიციატივით გამოვიდა.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე **თამარ გაბუნია** ადასტურებს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები ბიზნეს სექტორს ჰქონდა. ამიტომ კომიტეტის შეთავაზებაა, რომ აღიარებითი რეჟიმით მედიკამენტის რეგისტრაციის ვადად 15 დღე განისაზღვროს.

— ვადებთან დაკავშირებით იყო გარკვეული მსჯელობა და კომიტეტის შემოთავაზებაა, რომ განახევრდეს ის ვადები, რომელიც კანონპროექტით იყო გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში 7 დღის ნაცვლად, ჩვენ ვისაუბრებთ 15 დღეზე, 5 დღის ნაცვლად 10 სამუშაო დღეზე, ხოლო როცა გარკვეული ტიპის რეგისტრაციის ცვლილებებზეა საუბარი, 45 დღის ნაცვლად, 40 დღე. ეს არის პირველი მოსმენის შედეგები, რაზეც შევთანხმდით.

მიუხედავად იმისა, რომ მარეგულირებლისთვის ეს ვადები არის მათ მიერ განსაზღვრულის ნახევარი, მაინც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მათთვის ოპერირების შესაძლებლობას და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მეტად საფუძვლიანად შესწავლის საშუალებას მისცემს“, — განაცხადა გაბუნიამ.

პარლამენტის წევრი **ლევან კობერიძე** „წამლის შესახებ კანონში“ დაგეგმილ ცვლილებებს, რაც მედიკამენტების რეგისტრაციის ვადებს ზრდის, მწვავედ ეხმაურება.

„ბიზნესი ამბობს, რომ 7-დღიანი ვადა აწყობს წამლების რეგისტრაციისთვის. თქვენ კიდევ ამბობთ, რომ უნდა იზრუნოთ ბიზნესზე და ვადა უნდა გავზარდოთო. არგუმენტი მითხარით, 5 დღე იქნება, 7 თუ 10, ძალიან გთხოვთ, ან არგუმენტები მოიყვანეთ, რატომ ზრდით ვადებს და დაასაბუთეთ, ან პირდაპირ გეტყვით — ეს არის მინისტრის ხუშტური“.

ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე ბოლოს მართლაც გამოვიდა ინიციატივით, რომ მედიკამენტის რეგისტრაციის ვადა, 7 დღის ნაცვლად, მხოლოდ 15 სამუშაო დღემდე გაიზარდოს. ამ ინიციატივაზე წამლის სააგენტოს იურისტმა დეპუტატს უპასუხა, რომ თუ ვადად 15 დღე განისაზღვრება, მარეგულირებელი თანახმა იქნება.

ხუნდაძე ასევე გამოვიდა ინიციატივით, რომ უწყებრივ რეესტრში მარკირების რეგისტრაციისთვის განსაზღვრული 20-დღიანი ვადა 10 დღემდე შემცირდეს, ხოლო სააგენტოს „ა“ ტიპის სარეგისტრაციო ვადად, 30-ის ნაცვლად, დრო შემცირდეს 15 დღემდე. სააგენტოს იურისტი ხუნდაძის მიერ შეთავაზებულ ცვლილებებსაც დაეთანხმა.

გეძა დანელია

№ 83. ორშაბათი, 6 ივლისი, 2020 წელი.

სოსო მანჯავიძე: უნდა გამოათრიო ეს ეშმაკის მოციქული გვარამია გარეთ და ტელევიზიაც დაუხურო!

ნომრის სტუმარია ექსპერტი და პოლიტოლოგი სოსო მანჯავიძე.

„გვარამია-გაბუნიას სახით, რუსებს ჰყავთ სასარგებლო იდიოტები, „ან აგენტურა“

– მიხეილ სააკაშვილის განცხადებების პოლიტიკური შეფასება რთულია, ბევრი ფიქრობს, რომ ექს-პრეზიდენტის განცხადებები ფსიქოლოგების და ფსიქიატრების საქმეა. თქვენც ასე ფიქრობთ?

– სამწუხაროდ, პოლიტიკაში შემოსასვლელი ფილტრები გაფუჭებულია. დაუბრკოლებად შემოდიან პოლიტიკაში და რჩებიან ავანტურისტები, ათასგვარ ტყუილში ნამხილები და სერიოზული ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანები, ეს ფაქტია. გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ სფეროში ნამდვილი ლიდერი არის ათასგვარ ტყუილში და მათ შორის ტრაგიკულ ტყუილში ნამხილები სააკაშვილი. რაც შეეხება მის მიერ დაფრქვეულ მარგალიტებს – დაიწყო იმით, რომ თურმე მის ოჯახში უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა, თუ ვიღაცას შეხება ჰქონდა კაგებესთან. ამ დროს მისი ბიძა, თემურ ალასანია კაგებეს გენერალია. რუსეთის კვოტით მუშაობდა გაეროს განიარაღების კომიტეტში.

– ეს იცის ყველამ, მაგრამ რატომ აკეთებს ფაქტებისგან განსხვავებულ კომენტარებს ექს-პრეზიდენტი?

– სააკაშვილმა იმავე ინტერვიუში თქვა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა კიევში, რომელიც, თავის მხრივ, კარგ ტრამპლინს წარმოადგენს საბჭოთა უშიშროების ორგანოებთან თანამშრომლობისთვის. ასევე, კიევში სწავლობდა დიპლომატიური ხაზით, რომელიც ასევე კაგებეს ნომენკლატურა იყო. რა თქმა უნდა, მას მფარველობდნენ. როცა ყველამ იცის ამის შესახებ, საინტერესოა რატომ ლპარაკობს ასე? ერთია, რომ მას ჩვენს ხალხზე აქვს ცუდი წარმოდგენა, არ აქვს მნიშვნელობა, რა იყო წარსულში, მთავარია, ამ ერთ კონკრეტულ მომენტში შესთავაზოს ისეთი ვერსია, რომ თვითონ წარმოჩინდეს მომგებიანად. მეორეა, რომ თვითონ ვარდება ფსიქოზში, როცა მართლა ასე ჰგონია და რაც უნდა იმას ამბობს.

თქვა, რომ მისი მმართველობის დროს პროკურატურა მიუკერძოებელი იყო და მხოლოდ სამართლებრივი ნორმებით სარგებლობდა. თურმე, კორუფციასთან ბრძოლაში ისეთი უკომპრომისო ყოფილა, რომ მასაც არ ეკითხებოდნენ... მეტიც, თურმე ოქრუაშვილიც ისე დაუპატიმრებიათ, რომ არ იცოდა. ოქრუაშვილის დაკავება ხომ მაინც გვახსოვს, როგორ და რა იყო?! მაგრამ სააკაშვილი ცდილობს თავი წარმოაჩინოს ისეთი სახელმწოფოს შემქმნელად, სადაც სამართალი იყო უზენაესი, თვითონ სამართალში არ ერეოდა, ყოფილი იუსტიციის მინისტრის და პროკურორის დაკავებაც კი, „დაავიწყდა“! თურმე, როცა გაოცებულმა ჰკითხა ადეიშვილს – „რა მოხდა, ვერ დამელოდეთო“? ადეიშვილმა უთხრა – „ქვეყანას ზიანი ადგებოდა, 20 მილიონს რიცხავდა და ამიტომ დავაკავეთო“. ასეთი ამბავი შეთხზა. შეურაცხმყოფელია, როდესაც ადამიანი ასეთ ტყუილს ამბობს.

აქვე საინტერესოა რუსეთის პრეზიდენტთან 40-ჯერ შეხვედრის ამბავი. მაშინ, როდესაც ოფიციალურად ორი ქვეყნის პრეზიდენტები სულ სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. მსოფლიო პოლიტიკა არც იცნობს ასეთ შემთხვევას, როდესაც ორი ქვეყნის ლიდერები 4 წლის განმავლობაში 40-ჯერ შეხვედროდნენ ერთმანეთს.

– როგორ ფიქრობთ, რატომ გაუსვა ხაზი სააკაშვილმა პუტინთან შეხვედრას?

– როლში შეიჭრა, რომ თავისი მნიშვნელობისთვის გაესვა ხაზი. 40-ჯერ შეხვდა პუტინს და 5 საათი ილაპარაკეს. თან პუტინი გამოსახა, როგორც მონსტრი მომლაპარაკებელი. 40-ჯერ შეხვდა პუტინი, მაგრამ მაინც ვერ გატეხა და პატივისცემა გაუჩნდა, ეს ვინ ყოფილაო. ანუ, თავი წარმოსახა, როგორც ზვიადაურმა. ასეთ საოცრებებს ამბობს. მართლაც, მსოფლიო პოლიტიკის „ნოვატორია“ ეს კაცი. ამერიკის ყოფილ პრეზიდენტს, ჯორჯ ბუშს ხომ უყვიროდა და ვაგზლის ხინკალიც აჭამა; დონალდ ტრამპთან ერთად შადრევნებში მთელი ღამე დარბოდა; ბაიდენი მან შემოიყვანა პოლიტიკაში; ჯონ მაკ კეინის მეგობარი რომ იყო და ყოველ დღე ხვდებოდა, ეს კიდევ ცალკე თემაა. ისე შეიჭრა როლებში და ისეთი დასვა კითხვა – რატომ არ ვუყვარდი ობამასო. იმიტომ, რომ რემ ემანუელმა, რომელიც ობამას ადმინისტრაციის უფროსი იყო, აშშ-ის პერეზიდენტს ჩასჩურჩულა, რომ სააკაშვილმა ომის პროვოცირება იმიტომ მოახდინა, რომ მაკ კეინის რეიტინგი აეწიაო.

რაც შეეხება სხვა პასაჟებს, დავით აღმაშენებელს არის „გადაკიდებული“, არ ასვენებს. გამოთქვა ხალხში გავრცელებული უსაფუძვლო მითი, რომ თურმე დავით აღმაშენებელი საქართველოში 500 წელი იყო აკრძალული და არ ახსენებდნენ. თურმე, თავადაც ისეთივე მკაცრი იყო, როგორც დავით აღმაშენებელი, რომელიც ებრძოდა კოფუფციას. თურმე დავით აღმაშენებელს 500 წელი არ ახსენებდნენ, მაგრამ მას უფრო ადრე გაიხსენებენ. პატივცემულ მიხეილს არ აწყენდა წაეკითხა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება. დავით აღმაშენებელი საკულტო ფიგურაა და ეს ამბობს, რომ თურმე 500 წელი არ ახსენებდნენ, ასეთ სისულელეს ლაპარაკობს ეს კაცი.

– როგორ ფიქრობთ, რა მიზნით გაავლო ეს პარალელები აღმაშენებელთან?

– უნდოდა, რომ მეფე დავითთან შედარებით გაებათილებინა ის უმსგავსობები, რომელიც რეფორმების ნიღბით ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში მისი მმართველობის დროს. გავიხსენოთ სააკაშვილის ტერორი: აღძრული იქნა 800 000 სისხლის სამართლის საქმე, რომელთა უდიდესი უმრავლესობა დამთავრდა საპროცესო გარიგებებით. გამამართლებელი განაჩენი იყო 0,01%. სააკაშვილის მიერ გატარებული რეპრესიები იყო ყველაზე მასობრივი. შედარება რომ გავაკეთოთ, ეს იგივეა, რაც კამბოჯაში და კულტურული რევოლუციის დროს ჩინეთში გატარებულ რეპრესიები იყო. უბრალოდ, ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ახლოს ვართ ევროპასთან, კურსი მაინც ევროატლატიკური იყო, დახვრეტას ვერ შემოიღებდა, მაგრამ ის, რაც ხდებოდა ციხეებში; როცა პროკურატურას მიცემული ჰქონდა ინსტრუქცია, რომ მაქსიმალურად დაეჭირათ ადამიანები; მოსამართლეებს პროკურატურა აძლევდა ინსტრუქციას, რომ არ ყოფილიყო გამამართლებელი განაჩენი, ეს სააკაშვილის უშუალო დანაშაულია. ორი ტერიტორიის ჩაბარება რუსეთისთვის, ჩვენი მოქალაქეების მსხვერპლი და უამრავი ადამიანის გაუბედურება – იყო მისი რეფორმების ფასი. ეს ფასი თუ შეიძლება გადაიხადოს ადამიანმა ე.წ. რეფორმებისთვის, ეს მკითხველმა განსაჯოს.

– სააკაშვილის ასეთი განცხადებები, მოსახლეობის რა კატეგორიაზეა გათვლილი, ლიდერის ასეთი პოზიცია არ აზარალებს „ნაციონალურ მოძრაობას“?!

– არა, არ აზარალებს. რაც შეეხება გათვლას, ეს გათვლილია ადამიანების იმ კატეგორიაზე, რომელიც საჭიროდ არ თვლის ფაქტების გადამოწმებას, გონებრივად ზარმაცობს. უნდა დაიჯეროს ის, რასაც ამბობს სააკაშვილი. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანი ბევრია, მძიმეა მათი სულიერი მდგომარეობა. თან განმსჭვალული არიან პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ აგრესიით, ცხოველური სიძულვილით, რომელშიც ვერ აღწევს ვერანაირი ლოგიკური არგუმენტი. სააკაშვილი რაც უფრო მეტად იტყუება, მით უფრო უმძაფრდებათ კერპთაყვანისმცემლური მიდგომა მის მიმართ. ეს სერიოზული პრობლემაა, ეს არის ბრმა რწმენა, რომელიც არ ექვემდებარება ლოგიკურ არგუმენტებს და მთავრდება ფანატიზმით. სამწუხაროდ, ჩვენი ხალხის საკმაოდ მსუყე ნაწილი ასეთ მდგომარეობაშია.

– რაც შეეხება გაბუნიას ცნობილ განცხადებას, როგორ ფიქრობთ, „მთავარის“ მიზანი არის 2008 წლის მოვლენების განმეორება, როგორც მაშინ, მაკ კეინის შემთხვევაში, ახლა უკვე ბაიდენის მხარდასაჭერად, ვგულისხმობ ომის პროვოცირებას რუსეთთან?

– არჩევნების წინ დემოკრატებისთვის მომგებიანია რუსეთთან სიტუაციის გამწვავება, ვინაიდან ისინი დონალდ ტრამპს მუდმივად აკრიტიკებენ რუსეთთან არასაკმარისად მკაცრი პოლიტიკის გამო და ისევ ატრიალებენ ინფორმაციას, რომ ტრამპი დაკავშირებული იყო პუტინთან. აშშ-ში ზუსტად იგივე განწყობაა, სიმართლეს არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია რამდენ ამომრჩეველს დაარწმუნებ ელექტორალური მოგების მიზნით.

გასაგებია, რომ დემოკრატებს აწყობთ რუსეთთან კონფლიქტი, მაგრამ რუსეთში ძალიან მძიმე მდგომარეობაა. პუტინის მიმართ განწყობა არის ძალიან კრიტიკული, განსაკუთრებით კოვიდ 19-თან დაკავშირებული მოვლენების შემდეგ. სულ ვამბობდი, რომ კოვიდ19-თან ბრძოლის ზომებს მოჰყვება უფრო მძიმე ტალღა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მსოფლიო პოლიტიკის დესტაბილიზაცია – ვხედავთ რა ხდება აშშ-ში, ევროპაში, რუსეთში კატასტოფულად დაეცა პუტინის რეიტინგი.

რუსეთში, შიდა პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ბევრ პროკრემლურ პოლიტტექნოლოგს აშკარად აწუხებს ის მოსაზრება, რომ შედარებით პატარა ქვეყნის წინააღმდეგ საგარეო პოლიტიკური გართულება და გამარჯვება პუტინისთვის ელექტორალურად მომგებიანი იქნებოდა. ობიექტურად შევხედოთ – გაბუნია რომელი პატრიოტია?! ნამდვილად არ მჯერა, რომ აფხაზეთზე და ცხინვალზე ეწვის გული. გვარამია-გაბუნიას ეს პროვოკაციული გამოხდომები აშკარად ატარებს შეკვეთილ ხასიათს.

– რას გულისხმობთ შეკვეთილ ხასიათში?

– რუსეთს სჭირდება თავისი საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისთვის კიდევ ერთხელ, საქართველოსგან ახალი მტრის ხატის შექმნა. წინა გინების შედეგად მივიღეთ ის, რომ რუსი ტურისტები გადამისამართდნენ ყირიმში. რუსეთში მყოფი ქართველები იძულებული გახდნენ, რომ გაცილებით მეტი თანხა დაეხარჯათ, რათა ქვეყანაში შემოსულიყვნენ, ჩავარდა ტურისტული სეზონი, დაზარალდა სავაჭრო ურთიერთობები. სინამდვილეში მოხდა ის, რომ იხეირა რუსეთმა, სომხეთმა და აზერბაიჯანმა, მაგრამ იზარალა საქართველომ, რადგან გაბუნიამ გადმოაფრქვია თავისი

სიბინძურე. ახლაც იგივე პროცესია. გვარამია-გაბუნიას სახით რუსებს ჰყავთ სასარგებლო იდიოტები, ან აგენტურა.

– ამ შემთხვევაში ხელისუფლებას რა გზა აქვს, რომ არ დაუშვას ახალი კონფლიქტი რუსეთთან?

– შესაბამისი კანონი უნდა მიიღოს. დეტალურად უნდა გაიწეროს სანქციები. თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მოქმედებენ ქვეყნის უსაფრთხოების წინააღმდეგ, მათ წინააღმდეგ უნდა გატარდეს სანქციები. ეს აუცილებელია.

– რაც შეიძლება ჩაითვალოს მედიაზე ზეწოლად...

– არანაირი მედიაზე ზეწოლა ეს არ არის. მედია არის ჩვეულებრივი ინფორმაციული იარაღი პოლიტიკური ძალების ხელში, რომელსაც ისინი იყენებენ საზოგადოებრივი წესრიგისა და ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ. საკანონმდებლო სივრციდან უნდა მოხდეს ყოველგვარი უმსგავსოების პრევენცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, დემოკრატიის სამსხვერპლოზე მიგვყავს საკუთარი ქვეყანა. თუ ქვეყანა დაიღუპა, მაშინ რისთვის არის დემოკრატია?! დემოკრატია არსებობს ხალხისთვის და არა ხალხი დემოკრატიისთვის.

– გვარამია-გაბუნიასა და მედიის ცუდი როლი ახსენეთ ამ პოლიტიკურ პროცესებში. უმძიმესი იყო ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ „მთავარის“ სიუჟეტი, არასრულწლოვნების ამოცნობა სულაც არ იყო პრობლემა. გვარამიამ ბოდიში მოიხადა, რაც მას კოლეგებმა მოუწონეს. გასაგებია, რომ მთელი მათი ინფორმაციები არის პოლიტიკა, მაგრამ არასრულწლოვნების ჩართვა რასთან არის კავშირში, ესეც პოლიტიკაა?

– ესენი არიან აბსოლუტურად დეგრადირებული ადანიანები. ეს მკვლელობაზე უფრო მძიმე დანაშაულია. ჩვენთან რომ არსებობდეს საზოგადოებრივი აზრი და მას ჰქონდეს ინსტრუმენტები, დაუყოვნებლივ უნდა იქნას დახურული ეს ტელევიზია. სულ უბედურებას აკეთებენ, მაგრამ ამაზე უფრო დიდი უბედურება რა არის?! ეს არის წარმოუდგენელი სიბინძურე. ისინი, ვინც გვარამიას მოიხსენიებს როგორც ჟურნალისტს, უფრო ბინძურები არიან. ის არავინ არ არის, არ არსებობს როგორც მორალური კატეგორია...

კატასტროფაა რაც ხდება. ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი დონე ეცემა. ამ დაუსჯელობის სინდრომის გამო, ჩვენ გადავიქეცით ნახირად. არასრულწლოვნები აკლდათ და ისინიც ჩართეს. მეტი რა უნდა გააკეთონ?! სუს-ში ამ მავნებლებს რომ იბარებენ, გეგონება პაემანზე იბარებენ. სუს-ი არ არის ძორწინების ბიურო, ეს არის საგამოძიებო ორგანო და კონკრეტული საქმე უნდა მიიყვანონ თავის ლოგიკურ დასასრულამდე. ეს ტელევიზია უნდა დაიკეტოს, ეს არის ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული. უნდა გამოათრიო ის ეშმაკის მოციქული, ჭინკას რომ ჰგავს, დაკეტო ეს ტელევიზია და დამთავრდა! ამ ტელევიზიის დამფინანსებლები არიან გარეწრები. ვისაც რეკლამა მიაქვს, ისინიც გარეწრები არიან! რა ბოდიში, რის ბოდიში, ან მერამდენე ბოდიში?! რა ბოდიშებზე ვლაპარაკობთ, როდესაც საქმე არასრულწლოვან ბავშვებს ეხება!

თამთა ქარჩავა

გიორგი მამაცაშვილი: გვარამიები, კუპრავები, კაპანაძეები და მათი ჯოგი ნაგვები არიან!

ვუსმენ რამდენიმე იდიოტს, ვკითხულობ მათ ნაბოდვარს და უფრო ვრწმუნდები – ჩვენი დანაშაულია, აქამდე რომ მივუშვით!

ჩვენი დანაშაულია, სააკაშვილის მონა ზვიად კუპრავა მორალზე რომ გველაპარაკება და აქეთ გვასწავლის ჭკუას! ეთერს ვუთმობთ და მის ბოდვებზე გვიწევს თავის მართლება და კომენტარის კეთება!

ჩვენი დანაშაულია, ჟურნალისტიკაში ქურდის სახელით პატივდებული, ნაყაჩაღარი და წართმეული პრესა.გე-ს ხელმძღვანელი, მერაბიშვილის სექტის მონა და სააკაშვილის ხელისბიჭი გიორგი კაპანაძე ვალად რომ გვადებს რაღაცებს და აქეთ ცდილობს შანტაჟის ენით საუბარს!

ჩვენი ბრალია, ყველა ძაღლი და მამაძაღლი თავზე რომ დავისვით და ყველა ცილისწამებისთვის პასუხისგების ნაცვლად, თავი რომ დავუხარეთ!

ჩვენი ბრალია, გარდაცვლილი ახალგაზრდა ფეხბურთელის ბიძას მირიან ნიკოლაძეს ჭკუის სწავლება რომ დაუწყეს, რომის პაპზე მეტი კათოლიკეები რომ გახდნენ „ჩაჯვის“ სექტის ყიზილბაშები და ესეც გავატარეთ!

ჩვენი ბრალია, 18 ივნისის საბედისწერო ღამის, ასევე დაზარალებულ ფოტოგრაფს შსს მაღალჩინოსანთან ნათესაობა რომ დაუდასტურდა, ისევ ამ ბავშვის ბულინგი დაიწყეს – თითქოს მასაც იმღამინდელი სტრესი არ ჰყოფნის, რომ აღარ დავუმატოთ...

და ამასაც ვუჩუმდებით!

ფოტოგრაფი ბრეგვაძე – ნინო გიორგობიანის ნათესავიაო – გაჰკივიან მკვლელთა სექტის თითლიბაზები და ავიწყდებათ, რომ ნათესაობა დანაშაული არაა!

არადა, მაინც არაფერი არ იცვლება.

ნაცზონდერთა იდეოლოგიის მძევლებად ვართ ქცეულნი და თავის დაღწევაც აღარ გვინდა.

თავის მართლების რეჟიმში ვცდილობთ დარჩენას და მართლა კრიმინალებს, ოპოზიციის ლიდერობას „ვუპრავებთ“ დღითიდღე...

შორს წავედი მეც.

მოკლედ გეტყვით: რამდენიმე დაზარალებულს შორის ფოტოგრაფი **იაკობ ბრეგვაძე** ერთ-ერთი დაზარალებულია!

დაზარალებულია ფეხბურთელის მეგობარიც **გუკა ამირხანაშვილიც!**

დაზარალებულია იმდღევანდელი იუბილარი გოგონაც!

დაზარალებულია ქართველი საზოგადოება!

ფეხბურთელი გიორგი შაქარაშვილი კი დაზარალებული კი არა, გარდაცვლილია!

მეტიც: დევნის და ბულინგის შედეგადაა გარდაცვლილი!

გვარამიები, კუპრავები, კაპანაძეები და მათი ჯოგი კი, უბრალოდ – ნაგვები არიან!

„ოცნებას“ ვინმესთან კოალიცია არ სჭირდება, ამ რეიტინგით მთავრობის დაკომპლექტებას მარტოც მოახერხებს!

დღეს ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი აქტიურად განიხილავს საკითხს, პარლამენტში მოხვედრის შემთხვევაში ვისთან შექმნის კოალიციას და ვისთან არ ითანამშრომლებს. ყველაზე ტრენდული ვარიანტია – არა ნაცებთან და არა ქოცებთან, რაც ნიშნავს, რომ ამ ორ ძალასთან თანამშრომლობა ამ ეტაპზე მათთვის მომგებიანი არ არის.

რეალურად, პარლამენტში მოხვედრის შემთხვევაში, ალბათ, ასეთი თანამშრომლობა შედგება, მაგრამ არჩევნებამდე ცალკეულ პარტიებს სურთ, ნაცებისა და ქოცებისგან დამოუკიდებლობის იმიჯი მოირგონ. ვინ ვისთან დაჯგუფდება არჩევნების შემდგომ?

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** აცხადებს, რომ ვინ ვისთან შევა კოალიციაში პარლამენტში მოხვედრის შემდეგ, ეს ოპოზიციური პიარი, პროპაგანდაა. ისინი გვაჩვენებენ იმ აზრს, თითქოს მომავალ პარლამენტში გადამწყვეტი უმრავლესობა არავის ექნება, არც ერთ პარტიას, და კოალიციების შექმნა გახდება საჭირო. დავით ზარდიაშვილის განმარტებით, კოალიციები იმ დროს იქმნება, როცა არცერთ პარტიას დამოუკიდებლად უმრავლესობა არ ჰყავს პარლამენტში. ასეთ დროს, სულ ცოტა, 76 მანდატი თუ არ გაქვს, ვერ შექმნი მთავრობას. იძულებული ხარ, მთავრობისთვის ნდობის გამოსაცხადებლად რომელიმე სხვა პარტიას შეეკრა. ის სხვა პარტია კი თავის ადგილს მოგთხოვს მთავრობაში და გეტყვის, ერთი მინისტრი ჩემი უნდა იყოსო. კოალიციაც აქედან გამომდინარე იკვრება.

„ნაცებს უნდათ, შეგვაჩვიონ ამ აზრს, თითქოს კოალიცია გარდაუვალია. სინამდვილეში, ეს ტყუილია. თანაც, კამათობენ კოალიციური მთავრობა სჯობს, თუ ერთპარტიული. რასაკვირველია, ერთპარტიული სჯობს, რადგან ერთპარტიული უფრო მყარი და სტაბილურია. საერთოდ, საპარლამენტო წყობა საკმაოდ არასტაბილურია იმ თვალსაზრისით, თუ რომელიმე დომინანტი პარტია არ არის ქვეყანაში, მაშინ ძალიან ხშირია ხელისუფლებათა ცვლა, არასტაბილური ვითარება და პოლიტიკური კრიზისები. ეს ჩვენ ნანახი გვაქვს, კოალიციური მთავრობა იყო „ქართული ოცნება“ 2012 წელს, არჩევნები რომ მოიგეს, იმ წელს. სანამ ბიძინა იყო დომინანტი, ყველაფერი ნორმალურად იყო, ბიძინა რომ წავიდა, აიჭრა სიტუაცია და კოალიცია, საბოლოო ჯამში, დაიშალა. იქ იყო ერთმანეთის მიმართ ინტრიგების ხლართვა, რესპუბლიკელებსა და „ოცნებას“ შორის „თავისუფალ დემოკრატებსა“ და „ოცნებას“ შორის არაჯანსაღი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. კოალიციების შექმნას გაცილებით დიდი პოლიტიკური კულტურა სჭირდება, უნდა შეძლო, სხვა პარტიებთან საერთო ენა გამონახო. ჩვენს პირობებში კი ეს გამორიცხულია, ნაცებთან ვინ გამონახავს საერთო ენას?!“ – კითხულობს დავით ზარდიაშვილი.

მისი აზრით, ქოცებს სულაც არ სჭირდებათ ვინმესთან კოალიცია. თუ ვინმეს აიკიდებენ ზედმეტ ბარგად, თორემ ქოცებს რა რეიტინგიც აქვთ, რა რესურსის და ნდობის მანდატის მოპოვებაც შეუძლიათ, ამას მარტოც მოახერხებენ. რომელი პარტიაა, რომელიც „ოცნებას“ შეუამხანაგდება და ხმებს შეჰმატებს? ასეთი არ იკვეთება. უბრალოდ, შეიძლება ლაპარაკი ტრადიციულ კონფიგურაციაზე – გია გაჩეჩილაძე თავისი „მწვანეთა პარტიით“ და სხვა.

„კოალიციას ნაკლებად ველოდები, ეს ფეიკია. ნათელაშვილის ფანჩატურში ვინც არიან, მათი კოალიცია შეიძლება ეფემერული იყოს. რომც მოიგონ არჩევნები, ეგრევე დაიშლებიან, დღესვე ვერ თანხმდებიან კანდიდატებზე, ბურჯანაძე იტყვის, პუტინთან უნდა წავიდე მოსალაპარაკებლადო და იმწუთს დაიშლება კოალიცია. როგორ შეიძლება, პრორუს ბურჯანაძეს და ბოკერიას ჰყავდეთ ერთი და იგივე კანდიდატი საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე?! ეს წარმოუდგენელია. თუ ასეთი რამ მოხდა, ორივე გამყიდველი ყოფილა საკუთარი პრინციპებისა, გუბაზ სანიკიძის მსგავსად, რომელიც საკუთარ თავს ღალატობს“...

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ანკე დენ უდენი: საქართველოს განათლების სისტემა წარმატებით გაუმკლავდა

იმ გლობალურ გამოწვევას, რომლის წინაშე ამჟამად მთელი მსოფლიო დგას

ინტერვიუ Microsoft-ის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გენერალურ მენეჯერთან ანკე დენ უდენთან

– როგორ შეაფასებდით Microsoft-სა და საქართველოს შორის არსებულ თანამშრომლობას?

– მინდა აღვნიშნო, რომ Microsoft-სა და საქართველოს უკვე მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებთ. მოხარული ვარ, რომ სწორედ ჩვენ გავხდით საქართველოს წამყვანი პარტნიორი ქვეყნის განათლების გაციფრულებაში და ჩვენი წვლილი შევიტანეთ მოსწავლეებისა და სტუდენტების მიზნების მიღწევაში.

ყოველთვის სასიამოვნოა ისეთ ქვეყნებთან თანამშრომლობა, რომლებიც მუდამ მზად არიან ციფრული ტრანსფორმაციისთვის. საქართველომ გააცნობიერა, რომ წარმატების მთავარი ფაქტორი მოსახლეობაში სამომავლო უნარების განვითარებაა. ჩვენ 21-ე საუკუნეში ცვალებადი სამყაროს ნაწილი ვართ, სადაც ტექნიკური უნარები და გამჭრიახი ცოდნა ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის განვითარებაში და უნდა ითქვას, რომ ამ კუთხით საქართველოს ძალიან სწორი მიდგომა და სტრატეგია აქვს შემუშავებული. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან თანამშრომლობის ფარგლებში, ჩვენ უმოკლეს დროში დავასრულეთ უამრავი წარმატებული პროექტი. მინდა ხაზი გავუსვა Microsoft Teams-ის ლოკალიზაციას, მასწავლებლებისთვის დაინერგა უამრავი ონლაინ კურსი და საგანმანათლებლო პლატფორმა, Microsoft Teams-ის ჯგუფებში ინტეგრირდა ინტერაქტიული ქართულენოვანი ჩეტ-ბოტი და Teams პროგრამაში დაემატა ციფრული ბიბლიოთეკა www.el.ge.

ეს არის იმ პროექტების ჩამონათვალი, რომლებიც განხორციელდა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში და მინდა მოგახსენოთ, რომ ახალ სასწავლო წელთან ერთად, განხორციელდება უამრავი სხვა საინტერესო სიახლე. ჩვენ ბედნიერები და მოტივირებული ვართ, როდესაც ვხედავთ, თუ როგორ უწყობს ხელს ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა ჩვენს მომავალ თაობას მეტის მიღწევაში.

– როგორ შეაფასებდით პანდემიის დროს საქართველოში Microsoft-ის პროდუქტების დისტანციური სწავლების დანერგვას კერძოდ, Microsoft Teams-ის?

– ტრადიციული განათლებიდან დისტანციურ სწავლებაზე შეუფერხებლად გადასვლა სწორედ ციფრული გარდაქმნის შედეგია, რომლის მთავარი ინიციატორი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო იყო. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს გაციფრულების მნიშვნელობას. ზოგადად ციფრული ტრანსფორმაცია თავისთავად საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც შეიცავს მრავალ მიმართულებას; საჭიროა შეიქმნას შესაბამისი სასწავლო გეგმა, მოხდეს მასწავლებელთა ტექნიკური გადამზადება, სკოლების ინფრასტრუქტურის განახლება, საკლასო ოთახების სწორი აპარატურით აღჭურვა და, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერზე დაყრდნობით სწორი დასკვნების გამოტანა და შემდგომი განვითარება.

მოხარული ვარ, რომ Microsoft Teams-ი და ჩვენი სხვა პროდუქტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დისტანციური სწავლების განხორციელებაში. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, წლების განმავლობაში გაწეული უდიდესი შრომა და ძალისხმევა სამინისტროს გუნდის მიერ. Microsoft Teams-ის გარდა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ წამოიწყო კიდევ ერთი წარმატებული პროექტი „ტელესკოლა“, რომელიც ეხმარება სტუდენტებს თანამედროვე ტექნოლოგიების არქონის შემთხვევაშიც კი მიიღონ ხარისხიანი განათლება.

განათლების მიწოდება ყოველგვარი შეფერხების გარეშე და სასწავლო წლის წარმატებით დასრულება, ნიშნავს, რომ საქართველოს განათლების სისტემა წარმატებით გაუმკლავდა იმ გლობალურ გამოწვევას, რომლის წინაშე ამჟამად მთელი მსოფლიო დგას.

– სექტემბრიდან იგეგმება საპილოტე რეჟიმში Minecraft Education Edition-ის ინტეგრირება საქართველოს განათლების სისტემაში... გაქვთ თუ არა გეგმები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად?

– საქართველომ, როგორც ყველა სხვა ტექნოლოგიური ინდუსტრიის განვითარებაზე ორიენტირებულმა ქვეყანამ, უნდა შექმნას უნარებზე დაფუძნებული შრომითი ბაზარი და დაკმაყოფილოს თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნები. ამისთვის საჭიროა ციფრული განათლების უზრუნველყოფა და მიწოდება ახალგაზრდებში ადრეული ასაკიდან.

მინისტრმა ჩხენკელმა, წამოიწყო Minecraft Education Edition-ის განხორციელება და ჩვენ სრულიად მხარს ვუჭერთ ამ ინიციატივას. კომპიუტერული მეცნიერებიდან შერეულ რეალობამდე, Minecraft Education Edition-ი არის ის ინსტრუმენტი, რომელიც არა მხოლოდ უზრუნველყოფს უსაზღვრო შესაძლებლობებს, არამედ ავითარებს თანამშრომლობის, კომუნიკაციის, კრიტიკული აზროვნების და სისტემური აზროვნების უნარებს. ღია სასწავლო გარემო შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, თავისუფლად ჩაატარონ ექსპერიმენტები და ამავდროულად მათში წაახალისოს შემოქმედებითი თვითგამოხატულება და განუვითაროს პრობლემების გადაჭრის უნარები.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ჩვენ უკვე დავიწყეთ Minecraft-ის დანერგვა საქართველოს 150 სკოლაში. ზოგადად, თამაშზე დაფუძნებული სწავლება არის ის მიდგომა, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და სასწავლო პროცესს უფრო სახალისოს ხდის. ის ასევე სრულყოფილად ჯდება ჰიბრიდული სწავლების მოდელში, რომელიც მინისტრ მიხეილ ჩხენკელის ინიციატივით, საპილოტე რეჟიმში 2020 წლის სექტემბრიდან განხორციელდება. ჰიბრიდული მოდელი იქნება ჩვენი თანამშრომლობის ახალი ეტაპი. შემიძლია, თამამად განვაცხადო, რომ ციფრული განათლების დანერგვის მხრივ, საქართველოს სწორი გეზი აქვს აღებული და მას ჰყავს ძლიერი მოკავშირეები, როგორიც არის კომპანია Microsoft-ი.

ᲩᲔᲛᲨᲘ ᲠᲔᲙᲐᲕᲔᲜ ᲛᲬᲣᲮᲠᲘᲡ ᲖᲐᲠᲔᲖᲘ!!!

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 2005 წელი, კვლავ იძულებული ვარ, საკუთარი მიწის სითბოგამოცლილი, უცხოეთში შევეგებო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ტკივილითა და შინაგანი განცდის სიმძიმილით სულჩაბნელებული მივიკვლევ გზას ერთადერთი ქართული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიისკენ. არ მეეჭვება, როგორც სხვა დროს, დღესაც აქ მრავალ ადგილობრივ ქრისტიან მრევლთან ერთად, შთამბეჭდავი იქნება დევნილ მორწმუნეთა რიცხვი აფხაზეთიდან.

მივდივარ მოსვენებადაკარგული, გზადაგზა მივფორიაქობ, თან მომყვება, ვერ ვიშორებ აფხაზეთში მზაკვრული ხერხებით დატრიალებული სასტიკი ომის ექოს. ცხადად ჩამესმის შიგან ღრმად გამჯდარი, გამაყრუებელი, თითქმის უწყვეტი, რუსული სამხედრო ტექნიკის გრუხუნი, ავიაციისა და არტილერიის გამანადგურებელი დარტყმებით ცეცხლმოდებული აფხაზეთის (ზემო ლაზეთის), უძველესი კოლხეთის წარმტაცი მიწის გმინვა!

სამწუხაროდ, ეს მხარე 1992 წლის 14 აგვისტოს რუსეთის წაქეზებით. და დიდი მცდელობით, აფსუების მიერ ჩატარებული ფარული პროვოკაციით გახდა ჩრ. კავკასიელი ტომებისგან შემდგარი მკვლელი-მძარცველი „ბოევიკების“ სათარეშო.

* * *

ᲛᲘᲕᲓᲘᲝᲓᲘ მწარე ფიქრებით დათრგუნვილი და გულის სიღრმემდე მატანდა არა მარტო მტერთან პირისპირ უთანასწორო ბრძოლებში დაღუპული ქართველი მამაცი ბიჭები, არამედ საკუთარ სახლებში, ეზოებში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საავადმყოფოებში ჩახოცილი ცნობილი პროფესიონალი ექიმები და სხვა დარგის მუშაკები.

უპატრონოდ დარჩენილ განგმირულთ, სისხლში რომ იყვნენ ჩახრჩობილნი, ხშირად, შემთხვევით გზადმიმავალი ადამიანები, ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილი მეზობლები, მოკეთეები უწევდნენ ჭირისუფლობას; დიდი სიფრთხილით ღამე ჩუმად უთხრიდნენ საფლავებს საკუთარ ეზოებში, მაღალსართულიანი სახლების სარდაფებში. ბევრი მათგანი პირსისხლიანი მტრის ხელით ნაგვემი და ნაწამები იყო. შემაზრზენი სურათის მხილველები ძლივს ახერხებდნენ საფლავების გათხრას, დაღუპულთა ჩასვენებას.

სამწუხაროდ, ნამდვილ სასაფლაოებზე გასვლა და გარდაცვლილთა გაყვანა, გაფანტული, თითქმის შეუწყვეტელი სროლების და საარტილერიო ცეცხლის ხშირი გახსნის შედეგად, შეუძლებელი იყო.

* * *

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ მოსახლეობა, რომელსაც ჩვენი სამხედრო ძალების ხელმძღვანელობის განკარგულებით, ომის დაწყების პირველი დღიდან სანადირო თოფებიც კი ჩამოართვეს, ხელშიშველი იყო. მათ მტერი სხვადასხვა შესაძლებლობის გამოყენებით დაუზოგავად იშორებდა თავიდან. განსაკუთრებით არ ინდობდნენ და მიზანმიმართულად ხოცავდნენ იმათ, ვისი სახლ-კარიც მოეწონებოდათ, რადგან ხვალ, ზეგ,... გამარჯვების შემთხვევაში, იქ თავად აპირებდნენ ჩასახლებას. ასეთ დროს ოჯახის არცერთ წევრს არ ტოვებდნენ ცოცხალს.

დიახ, ვერ უიღბლა ბევრ მშვიდობიან მოსახლეს, მათ შორის დათო ქობულიასაც. მისი საკუთარ ეზოში ჩაცხრილვა, ვფიქრობ, ორი მიზეზით მოხდა: ის მიზანში ამოიღეს, იმიტომ რომ დაეხარბნენ მის მამაპაპეულ მდიდარ სახლ-კარს. თვალში ეცათ ქართული სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი სპორტული აღნაგობის ახალგაზრდა კაცი, რომელიც უბნის ბიჭებთან ერთად, ყოველდღე მორიგეობდა; სოხუმის საზღვარს იცავდა, რომ აფხაზეთში მოთარეშე დაქირავებულ სხვადასხვა ჯურის „ბოევიკებს“ დედაქალაქში ფეხი არ შემოედგათ.

არავინ იცის, როდის შემოაღწია, ან რამდენი დღე იჯდა ვერაგი ჩუბინი (სნაიპერი) ნიგვზის ხის ტოტზე, რომელიც, სხვა კაკლის ხეებისგან განსხვავებით, არქიტექტურულად მეტად ლამაზად ნაგები ოდა-სახლის წინ შუა მინდორზე იდგა და, როგორც ყოველთვის, ნაყოფით დახუნძლულ-დაბურული შემოდგომის მოსვლას ელოდა. ელოდა პატრონს, რომელიც ყოველ სეზონზე მეგობრებთან ერთად კაკალს ხალისიანად ბერტყავდა. სამწუხაროდ, ამაო იყო უკვე მოლოდინი...

* * *

ᲒᲖᲐᲡ მძიმე ნაბიჯებით მივუყვებოდი დანიშნული მიმართულებით, და აკვიატებულად ვფიქრობდი ქობულიების სახლში დატრიალებულ უბედურებაზე, რასაც წინ უძღოდა მრავალი ბედნიერი წელიწადი.

არაერთხელ ვყოფილვარ ჩემი ახლობლების სტუმარი დათოს მშობლების სიცოცხლეში; კაკლის ბერტყვასაც შევსწრებივარ და ყველას ერთად გაგვიხარია.

* * *

ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ახალგაზრდები საქმეს რომ მორჩებოდნენ, ტანსაცმელს გამოიცვლიდნენ, გალამაზდებოდნენ; მარნის კარს ხმაურით შეაჭრიალებდნენ და უპირველესად მობუუბუუე მაჭრით სავსე ქვევრს დააჭაშნიკებდნენ, საიდანაც იმ ქვევრისკენ გადაინაცვლებდნენ, რომელშიც გასული წლის კამკამა თეთრი ღვინო იდგა; ფრთხილად ახდიდნენ სარქველს და ორშიმოთი ამოღებულ ელექსირს ჭიქებში ჩამოასხამდნენ; სიმღერასაც დააგუგუნებდნენ: „კახურო ღვინოვ, ვარ შენი მსმელი, გინდ თეთრი იყო, გინდა წითელი...“ ძმაკაცები თავიდან ბოლომდე ერთსა და იმავე სიმღერას არ ასრულებდნენ, ხმაშეწყობილად გადადიოდნენ ერთი სიმღერიდან მეორეში და სხვადასხვა მისამღერიც მეტად სასიამოვნოდ ჟღერდა.

დათო ქვევრს ცეკვა-ცეკვით შემოუვლიდა და ყველას აიყოლიებდა. ასე შეწყობილად მხიარულობდნენ და ცხოვრობდნენ სოხუმის ერთ-ერთი ულამაზესი უბნის ნებიერა ბიჭები.

* * *

ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ახალგაზრდები სასიმღერო მოძახილებით ახლო მეზობლების ყურადღებას იქცევდნენ, ისინიც არ აყოვნებდნენ; ჭრიალით აღებდნენ ქობულიების ძვირფასი ხისაგან დამზადებულ ჩუქურთმით დამშვენებულ ჭიშკარს და მარნისკენ იღებდნენ გეზს. კვირა დღეს მოსალხენად აბა, ვის არ ეცალა! ხალისით უერთდებოდნენ მარნის კამპანიას შუახნის მამაკაცები და თავისებური ელფერი შეჰქონდათ საერთო განწყობაში.

შეკრებილნი, ზოგჯერ ვერ ეტეოდნენ მარნის სივრცეში, ამასობაში, დათოს დედ-მამა მზად იყო, მოეხმოთ სტუმრები ნიგვზის ჩრდილქვეშ, სადაც ყოველთვის საკმაოდ გრძელი, ოთხკუთხა მაგიდა იდგა სკამებით და სახელდახელოდ გამასპინძლებოდნენ კაკლის ბერტყვის დღის სტუმრებს ცხელი ხაჭაპურით, მჭადით, ყველით და ქორფა მწვანილებით.



ასევე, სუფრას ამდიდრებდა თხლად დაჭრილი ლორი, მოხარშული ხორცი, ხილი, ეს უკანასკნელი მრავალფეროვანი და ულევი იყო იმათ მდიდრულად განაშენებულ ეზოში.

მოგეხსენებათ, ასეთ ატმოსფეროში მოლხენის ჟინი ყველას ყოფნიდა და თავშეყრილნი გვიანობამდე უსხდნენ სუფრას, თითქმის ამგვარად მეორდებოდა ყოველი წლის შემოდგომაზე – კაკლის მწიფობისას.

* * *

ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲔᲑᲘᲡ პურმარილიან ოჯახში სხვა უამრავი დღე მეტად სასიამოვნო და შთამბეჭდავი იყო. მაგრამ ომის მძვინვარების ჟამმა ულმობლად, მოულოდნელად მოშალა მათი კერა და მოსპო სიცოცხლე, არარაობად აქცია ყველაფერი.

ვცდილობდი, მაგრამ ვერ ვიშორებდი ფიქრს დათო ქობულიაზე. მისი დაღუპვის სურათი თვალწინ მედგა და შინაგანი მძიმე განცდებითა და მწარე ფიქრებით დატვირთული მივიკვლევდი გზას...

* * *

ᲝᲛᲘᲡ დღეებში არაერთხელ შემოგვიარა დათომ სახლში. მოგვიყვა, თუ როგორ გახდა იძულებული უბნის ბიჭებთან ერთად, ჩაეცვა ჯარისკაცის ფარაჯა და საკუთარი სანადირო თოფით დამდგარიყო მშობლიური სოხუმის, თავისივე ეზო-კარის სადარაჯოზე.

ის ყოველდღე უთენია გადიოდა სამორიგეოდ და გვიან ღამე ბრუნდებოდა. რამდენჯერ გაუხდელად მიწოლილა დივანზე და ჩასძინებია.

ალბათ, ასე იყო იმ საბედისწერო დღესაც.

* * *

ᲐᲕᲒᲔᲓᲘᲗᲛᲐ გარიჟრაჟმა როცა ინათა, დათო წამოდგა, როგორც ყოველთვის, ჭისკენ წავიდა. ვედრო ჩაუშვა ფერადი კენჭებით ფსკერამოფერადებულ, ნაირფერი ქვებით კედლებამოკირულ და კერამიკის გვიმით ამოზიდულ ჭაში, რათა როგორც სჩვეოდა, უზმოზე ერთი ჭიქა ცივი წყალი დაელია, და რომ კარგად გამოფხიზლებულიყო, პეშვით სახეზე შეეშხეფა.

სწორედ ამ დროს გაისმა ზედიზედ სროლის ხმა. როგორც ჩანდა, შუა ეზოში მდგარი ნიგვზის ხეს შეფარებულმა პირსისხლიანმა მკვლელმა დაატრიალა ტრაგედია...

* * *

ᲓᲐᲗᲝ გვიმსგადაკიდებული დახვდა მეზობლებს. ის უკვე არ სუნთქავდა: წამიერად წაერთმია მისთვის სიცოცხლე მტრის შაშხანიდან გასროლილ ტყვიას.

ჭაბუკს დაფლეთილი გულმკერდიდან სისხლი სდიოდა, ჭაში იღვრებოდა, და წლების წინ თავისივე ხელით ჭის ფსკერზე ჩაყრილი ნაირფერ ზღვის კენჭებზე ილექებოდა...

ამ უბედურების ცნობამ ჩემამდე ძალიან მალე მოაღწია; რამდენიმე წამში გავჩნდი იქ და ჩადენილი ბოროტების მოწმე გავხდი. პირველად შევიგრძენი, თუ რა მძიმეა ტკივილი, რაც გულის სიღრმემდე ატანს. სამწუხაროდ, ის თან გდევს, არასდროს არ განელდება, მთელი ცხოვრება უნდა მიეზიდებოდე. ეს აზრი უფრო ცხადად გავაცნობიერე, როცა დევნილი გავხდი და საკუთარი კერადაკარგული უცხო ქვეყანაში აღმოვჩნდი, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

* * *

ᲓᲣᲦᲓᲐ სიკვდილი... სიმწრის ცეცხლი მოსდებოდა ქობულიების სახლ-კარს, სადაც თავი მოვიყარეთ დათოს ტრაგედიით გამწარებულმა ნათესავებმა, მეზობლებმა, მეგობრებმა, შემთხვევით გამვლელებმა, რომლებმაც არ ვიცოდით, ხვალ, ზეგ... თავადაც რა გველოდა.

სხვა გზა არ იყო. ოჯახის ერთადერთი გვარის გამგრძელებელი დღესვე, შეღამებულზე უნდა დაგვეკრძალა. ისიც, აქვე, ეზოში, რადგან ფხიზლობდნენ მტრის თვითმფრინავები, ქალაქის თავზე და მის შემოგარენში რიგრიგობით ერთმანეთს ცვლიდნენ. გამუდმებით იბომბებოდა მიზანში ამოღებული წერტილები, არ წყდებოდა რაკეტების გამანადგურებელი დარტყმები, ცეცხლი ეკიდებოდა საცხოვრებელ სახლებს, იხოცებოდა მშვიდობიანი მოსახლეობა.

* * *

ᲓᲐᲗᲝ ოდასახლში უკანასკნელად შეიყვანეს; დივანზე დაასვენეს. დედ-მამის შავ ჩარჩოებში ჩასმული გადიდებული სურათები კედლიდან დაჰყურებდნენ საყვარელ პირმშოს. ასე მეჩვენებოდა, მათი თვალებიდან, თითქოს, მდუღარე ცრემლები ჩამოდიოდა და დათოს მკერდზე ეღვრებოდა. მეტად შემზარავი იყო ამ უბედურების ჩემეული აღქმა, რაც დღემდე მომყვება და ახლაც გაუნელებელ შინაგან ტკივილის შეგრძნებას ბადებს ჩემში.

სწორედ ასეთ განწყობაზე ვიყავი ტაძრის გზაზე მარტოდმარტო მიმავალი. წონასწორობა რომ არ დამკარგვოდა, ვარჩიე, იქვე ბორდიურზე ჩამოვმჯდარიყავი და სული ცოტათი მომეთქვა. ვცდილობდი, ფიქრის ხვეულებიდან გამოვსულიყავი, მაგრამ ამაოდ, კვლავ აფხაზეთში ვგრძნობდი თავს და, ისევ გრძელდებოდა ჩემში ქობულიების ოჯახში დატრიალებული სისხლიანი მკვლელობის ახლებურად გააზრება, შეგრძნება და განცდა. მოწოლილ შინაგან სიმძიმილს ვერ ვიმსუბუქებდი.

* * *

ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ხანს დათო უკვე თავის ეზოში, შუა მინდორზე, ოდასახლის წინ უსიცოცხლოდ იწვა. იქ, სადაც პატარაობისას ასე უყვარდა ბურთის თამაში.

ახალი „სამოსახლო“ კი მარჯვნივ ტირიფების მოშრიალე ხეივანში ელოდა, სადაც თავისუფალ დროს ასე უყვარდა ქობულიების ოჯახს ერთად ყოფნა და დასვენება.

შებინდებისას, როცა ცოტათი შენელდა სხვადასხვა სახის რუსული იარაღების გრუხუნი, სწორედ აქ ამოიზარდა დათოს საფლავის ბორცვი.

მახსოვს, მაშინ რაღაც უცნაურმა შიშმა გამკრა: – მტერი, რომელიც სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა, ადრე თუ გვიან სოხუმში შემოაღწევდა, მაშინ რა მოელოდა საკუთარ სახლებში ჩაცხრილულთა საფლავებს მათსავე ეზოებში, რომელთა რიცხვი დღითი დღე მატულობდა, როგორც დედაქალაქში, ასევე მთელ აფხაზეთში!!!

ვინ რას მოსთხოვდა უგვანო, ველურ, მოთარეშე მუხანათებს?

დამთრგუნველი კითხვებით დაზაფრული ვიდექი, რომელ კითხვებზეც დღემდე არა მაქვს პასუხი, რაც შინაგანად მუდმივად მაშფოთებს და მაფორიაქებს.

* * *

ᲐᲓᲒᲝᲛᲐ ვცადე. რამდენჯერმე წამოწევა დამჭირდა, რომ ფეხზე დავმდგარიყავი და ნაბიჯი წინ გადამედგა. მძიმედ განვაგრძობდი სვლას. კვლავ მთელი არსებით აფხაზეთში ვიყავი.

თვალწინ მედგა „ბოევიკების“ სახლში მოვარდნით, წამებით მოკლული, ან ჩუბინის ტყვიით განწირული არაერთი სოხუმელი, რომელთა ნაწილს ძალიან კარგად ვიცნობდი, ბევრთან ვმეგობრობდი კიდეც.

სამწუხაროდ, მხეცური ჟინით შეპყრობილმა ჩრ. კავკასიელმა დაქირავებულმა მკვლელებმა ჩაცხრილეს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები, რესპუბლიკის გარეთაც კარგად ცნობილი სპეციალისტები: ბიძინა მგალობლიშვილი, შოთა ჯღამაძე, ასევე, არაერთი ქართველი ექიმი საავადმყოფოებში ჩახოცეს მოვალეობის შესრულებისას.

გულს მითანაღრებდა ქართულენოვანი გაზეთის რედაქტორის ხუტა ახალაიას, აფხაზეთის დამსახურებული ჟურნალისტის გიგლა ძიძიგურის გახსენება.

მტერმა დახვრიტა პოეტი ქალი ეთერ ჯღამაძე-სამხარაძე, რომელიც ქართული პატრიოტული შეძახილით უშიშრად შეეგება შეიარაღებულ ლაჩართა ხროვას.

ᲘᲮ. ᲒᲔ-8 ᲒᲒ.



ვინ იყო ერნესტო ჩე გევარა?

„...სინამდვილიდან გამომდინარე, ისე უნდა გამოვიმუშაოთ თეორია, რომ თეორიიდან გამომდინარე, არ დავამახინჯოთ სინამდვილე. თეორიამ ისე უნდა ახსნას სინამდვილე, რომ იგი უცაბედად არ შეცვალოს“.

ე. გევარა (1964 წ. აგვისტო)

„სამშობლო ან სიკვდილი!“ – თქვა ერთხელ ერნესტო ჩე გევარამ. ის თავზეხელაღებული რევოლუციონერი იყო, საქმეში დაეჭვება არ სჩვეოდა. დიდი იდეალებით შეპყრობილმა მთელი თავისი ცხოვრება თავისუფლების საქმეს შესწირა, რაც გულწრფელად სწამდა. თავის შემდეგ ისეთი სიტყვები დატოვა, რომელ სიტყვებშიც ჩაქსოვილია რევოლუციის იდეა და სულისკვეთება. ამ მგზნებარე ადამიანის დაბადების 85-ე წლისთავთან დაკავშირებით ერნესტო ჩე გევარას ხელნაწერები იუნესკოს „მსოფლიოს ხსოვნის პროგრამის“ დოკუმენტური მემკვიდრეობის რეესტრში შეიტანეს. ამ ნარკვევში მკითხველი ნახავს ლეგენდარული კომანდანტეს ყოვლის უფრო საგულისხმო გამონათქვამებს, წერილებისა და დღიურების ნაწყვეტებს.

ხალხის ხსოვნაში ერნესტო ჩე გევარას სახე დარჩენილია როგორც სიჭაბუკისა და რევოლუციური რომანტიზმის განსახიერება. 39 წლის ასაკში დაღუპული ლეგენდარული კომანდანტეს ტრაგიკული ბედი დღესაქამომდე აღელვებს ბევრი ახალგაზრდის გონებასა და გულს. არცთუ ცოტა დრო კია გასული, მაგრამ ამ ნათელი და უცნაური პიროვნების ბიოგრაფიაში ბევრი რამ ამოუცნობია: დაიბადა არგენტინაში, იქვე დაამთავრა უნივერსიტეტი, კუბაში ებრძოდა დიქტატურას, კუბაშივე გახდა მინისტრი, მერე იბრძოდა კონგოს ჯუნგლებში პატრის ლუმუმბას მიმდევართა მხარეს, დაღუპვით კი ბოლივიის მთებში დაიღუპა. კომანდანტემ თავის მშობლიურ არგენტინამდე მიღწევა ვერ შეძლო და მეზობელ ბოლივიაში დაეცა თავისი იდეალებისა და რწმენის ერთგული.

ჩეს სახე შთამაგონებელი წყაროა როგორც რევოლუციური ჯგუფებისთვის („შავი **პანტერები**“), ისე მწერალთათვის. ჩე გევარა, მაგალითად, ხულიო კორტასარის მოთხრობის („შეერთების“) „მონაწილეა“, შეხვდებით ჩეს აგრეთვე **ვიქტორ პელევინის** ერთ-ერთ რომანში („Generation П“). ჩეს ეძღვნება **ჟან-მიშელ გენასიას** რომანი – **„ერნესტო ჩეს საკვირველი ცხოვრება“**. ეს ნარკვევი შედგენილია (გამომცემლობა „ფენიქსი“) დონის როსტოველი რუსულენოვანი ჟურნალისტის **ნინო გოგიტიძის** მიერ.

ერნესტო ჩე გევარას ბავშვობა და სიყრმე

ერნესტო ჩე გევარა დაიბადა 1928 წლის 14 ივნისს ირლანდიური წარმოშობის არქიტექტორის ერნესტო გევარა ლინჩის ოჯახში, არგენტინულ ქალაქ როსარიოში. ჩეს დედას სელია დე ლა სერნა ლა ლიოსას ესპანური ფესვი ჰქონდა. შორეული წინაპრისგან, პერუს ვიცე-მეფისგან, პროვინცია მისიონესში მემკვიდრეობით ერგო პარაგვაიული ჩაის პლანტაცია. თუმცა მალე ოჯახი იძულებული შეიქმნა, რომ გადასულიყო როსარიოში (სიდიდით არგენტინის მეორე ქალაქია), სადაც იერმა-მათე ჩაის გადამმუშავებელი ფაბრიკა გახსნა. სწორედ აქ დაიბადა ერნესტო, რომელსაც პატარაობაში ტეტეს („გოჭუნას“) ეძახდნენ. ერნესტოს გარდა, ოჯახში იყო კიდევ ოთხი ბავშვი: სელია, რობერტო, ანა-მარია და ხუან-მარტინი.

ორი წლის ერნესტოს ბრონქიალური ასთმა დაემართა, რაც მთელი ცხოვრება თან სდევდა. რათა ბავშვისთვის ჯანმრთელობა აღედგინათ, ოჯახმა გაყიდა ადგილ-მამული და კორდოვაში გადავიდა, სადაც მთის ჰაერი იყო ზღვის დონიდან ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე.

12 წლის ერნესტოს უკვე თანდათან უყალიბდებოდა ხასიათი და მეამბოხის სულისკვეთებას ავლენდა. თუმცაღა დაუმორჩილებლობასა და სიჯიუტესთან ერთად დიდი პასუხისმგებლობით გამოირჩეოდა.

როგორც კი ალტა-გრასიაში თორმეტი წლისამ სწავლა დაამთავრა, ერნესტო სახელმწიფო კოლეჯში მოეწყო.

ჩე გევარა ამერიკას იმეცნებს

1951 წლის 29 დეკემბერს ჩე გევარა თავის მეგობარ ალბერტო გრანადოსთან ერთად ძველი მოტოციკლეტით ამერიკის კონტინენტზე სამოგზაუროდ გაემგზავრა. წინ უამრავი რამ თავგადასავალი და მოულოდნელი შეხვედრა ელოდა. 1952 წლის 14 ივლისს ერნესტო და გრანადო ვენესუელურ ქალაქ სან-კრისტობალში ჩავიდნენ, საიდანაც რამდენსამე დღეში კარაკასში აღმოჩნდნენ. გრანადო იქვე დარჩა, ადგილობრივ ლაპრაზორიაში გამონახა სამუშაო. ერნესტო კი დაჰპირდა, რომ როგორც კი ექიმის დიპლომს მიიღებდა, კარაკასში დაბრუნდებოდა.

ჩე გევარამ არგენტინისკენ გასწია, თუმცა ერთ ცხენებით მოვაჭრე შორეულ ნათესავთან შეხვედრის შემდეგ თავი ამოყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ერთი თვე დარჩა. 1952 წლის აგვისტოში ახალგაზრდა კაცი ბუენოს-აირესში დაბრუნდა.

გზად გვატემალისკენ

არგენტინაში დაბრუნებული ერნესტო ამთავრებს უნივერსიტეტს. პირველი მოგზაურობის შემდეგ, ახალგაზრდა კაცი დაგულისყურდა პოლიტიკით და დაიწყო დღიურის წერა, რისთვისაც თავი აღარ დაუნებებია. ჯარში რომ არ ემსახურა, ერნესტომ ხელოვნურად გამოიწვია ასთმური შეტევა, რის შედეგადაც მართლაც უვარგისად ცნეს სამხედრო სამსახურისთვის. ექიმ-ქირურგის დიპლომი რომ მიიღო, ერნესტომ ვენესუელურ ქალაქ კარაკასში წასვლა გადაწყვიტა ერთ-ერთ ლაპრაზორიაში გრანადოსთან, მაგრამ ბედმა ისინი მხოლოდ 1960 წელს შეახვედრა კუბაში.

ჩე გევარა ვენესუელაში ლა-პასის გავლით გაემგზავრა. აქ გაეცნო ადვოკატ რიკარდო როხოს. მასთან ურთიერთობამ, აგრეთვე პრესის არაერთმა შეტყობინებამ, ამერიკის შეერთებული შტატები გვატემალაში შესაჭრელად ემზადებაო, შეცვალა ერნესტოს გადაწყვეტილება. როხოსთან ერთად მიდის გვატემალაში.

სწორედ აქ იწყება „ჩე“-ს ისტორია. ამ პატარა შორისდებულს ცენტრალური ამერიკის მცხოვრებნი არგენტინელთადმი მიმართვისას იყენებდნენ. ცენტრალური ამერიკის მცხოვრებნი თავდაპირველად უბრალოდ „ჩე“-ს ეძახდნენ ერნესტოს, მერე უკვე სახელად შეარქვეს „ჩე“. თვითონ კომანდანტე არა მარტო არ შეეწინააღმდეგა, არამედ სულაც საკუთარ სახელად აქცია ეს შორისდებული, სუყოველ თავის გმირობას ამ სახელით სჩადიოდა: **„ჩემთვის „ჩე“ ყოვლის უფრო მნიშვნელოვანი და ყოვლის უფრო ძვირფასია ჩემს ცხოვრებაშიო. განა შეიძლება, რომ არ მომწონებოდა? პირიქით, გვარსახელს ბევრად დავამჯობინე ეს ორასოიანი „ჩე“.**

გვატემალაში გზად მიმავალ ერნესტოს ფული შემოაკლდა და მეგობრებთან ერთად პანამაში გაჩერდა, როხომ კი თავისი გზა განაგრძო გვატემალისკენ. ჩე გევარას ფულის შოვნა წიგნების გაყიდვითა და ადგილობრივი ჟურნალისთვის მაჩუ-პიკჩუზე რეპორტაჟების წერით მოუხდა. პანამიდან ჩე გევარა სან-ხოსეში გაემგზავრა, იქიდან კი სან-სალვადორის გავლით, გვატემალაში ჩავიდა (1953 წლის 24 დეკემბერს).

ჩე „ჩრდილო-ამერიკული შესევა რომ დაიწყო (1954 წლის ივნისში – რედ.), ჩემსავით ახალგაზრდების ჯგუფის შედგენა ვცადე, რათა იქით შემეტია „ხილიანი“ ავანტიურისტებისთვის, მაგრამ ბრძოლა არცვის არ უნდოდა“.

წინააღმდეგობის გამწევი ძალა არ ჩანდა, არბენსი გაიძულებულდა, რომ გადამდგარიყო და მექსიკის საელჩოს შეჰკედლებოდა. ჩემ რამდენიმე კუბელთან ერთად თავშესაფრის ძებნა დაიწყო არგენტინის საელჩოში, რის შემდეგაც არგენტინის ელჩის ხელშეწყობით მეხიკოში წავიდა.

ჩე: **„მეჩეჩზე გარიყულნი ვიყავით... ჯიბეში სულ რამდენიმე პესო მეგდო, იმ ფულით ფოტოაპარატი ვიყიდე და დავიწყე სურათების გადაღება ადგილობრივ პარკებში. სურათების ბეჭდვაში ერთი მექსიკელი გვეხმარებოდა, რომელსაც თავისი პატარა ფოტოლაბორატორია ჰქონდა. დიდი დავიდარაბა და რაგადი გვჭირდებოდა, სანამ დავარწმუნდებით მშობლებს, რომ მათ შვილს ფოტოსურათზე ძალზე სასიამოვნო შეხედულება ექნებოდა და კარგს იზამდნენ, თუ ცოტაოდენ პესოს დაყაჭავდნენ. ასეთი მუშაობის წყალობით რამდენიმე თვე გავიტანეთ თავი. მალე ჩვენი საქმე ნელ-ნელა გაწაღმართდა...“**

ერნესტო ქალაქ მეხიკოს მთავარი საავადმყოფოს ალერგიულ დაავადებათა განყოფილების ექიმი გახდა. 1955 წლის ივნისის ბოლოს ჩესთან ორი კუბელი მივიდა, ერთ-ერთი ნიიკო ლოპესი გამოდგა, რომელსაც ჩე ჯერ კიდევ გვატემალიდან იცნობდა. ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვან და ნიშნეულად იქცა. ცოტა ხანში ლოპესი ჩეს აცნობს რაულ კასტროს, ორიოდე დღის შემდეგ კი რაულ კასტრო ჩეს თავის ძმას ფიდელს ახვედრებს. პირველივე საუბარმა ფიდელ კასტრო და ჩე გევარა გაოცებულ ურთიერთსიმპათიანა და ჩე ფიდელის ისტორიულ წამოწყებათა მნიშვნელოვანი პროფილიანი მონაწილე გახადა.

კუბაში ჩასვლა

28 წლის ერნესტო ფიდელ და რაულ კასტროებთან, აგრეთვე სხვა 79 ამბოხებულთან ერთად იახტა **„გრანმით“** გაშლილ ზღვაში გავიდა.

1956 წლის 2 დეკემბერს ისინი კუბაში ჩავიდნენ და ფიდელ კასტროს ჯგუფი ეგრევე ტყვიების წვიმაში მოხვდა. რაზმი რამდენიმე დღე და ღამე მიარღვევდა სანაპიროს შამბნარს, რათა როგორმე თავი დაეღწია ბატისტას ავიაციისთვის.

ჩე: **„მართლაც მაზალო ვინმეა ეს ფიდელი... ყველგან ჭურვების ბათქაბუთქია, ეგ კი უცებ ფეხზე დგება და იძახის: „ნახეთ, როგორ ისვრიან. მაშასადამე, შეშინდნენ, ჩვენი შიში აქვთ, რადგან იციან, რომ დედას ვუტირებთ“.** მერე სიტყვის უთქმელად ტავარჯუხს წამოავლო ხელი და ჩვენს რაზმს სათავეში ჩაუდგა.

სამხედრო აღჭურვილობიდან მხოლოდ შაშხანა, პატრონტაჟი (ფალასკა) და მცირეოდენი სველი ვაზნაღა შემოგვრჩა. ღამით ჩვენი ეტიკი გავუშვით, რაც დიდი შეცდომა იყო, ეს მერეც არაერთხელ მოგვივიდა. სახიფათო ზონაში ყოფნის გამო საჭირო იყო სამოქალაქო მოსახლეობისთვის თვალყურის დევნება, სანამ არ დავრწმუნდებოდით, რომ ავად არ იყვნენ განწყობილნი“.

რაზმი მიიწევდა სიერა-მაესტრა ტურკინოს ყველაზე მაღალი თხემისკენ, სადაც მონაწილენი ბანაკის დაცემას გეგმავდნენ. არ შეიძლება იმის თქმა, რომ გლეხები მაინცდამაინც კეთილი თვალით უყურებდნენ **„წვერდაფანჩულ მეამბოხეებს“**, თუმცა გამოხდა ხანი და გლეხები ბატისტას ჯარის დამარბეველთ მიჩვეულნი, აჯანყებულთა მეგობრები გახდნენ. ჩე: **„ბოლო სოფლის ჟანდარმერიასთან ბრძოლა რომ დავიწყეთ, ზოგ-ზოგებს მთებში ვესხმოდით თავს, ჩვენ ახალ მეგობართაგან ბევრნი ჩვენს რაზმებს უერთდებოდნენ. მალე გლეხები მიხვდნენ, რომ საჭირო იყო ბატისტას რეჟიმის დამთავრება“.**

1957 წლის 14 იანვრისთვის ექსპედიციამ მდინარე მაგდალენას მიაღწია, სადაც რაზმი მცირე ხნით შეჩერდა. აქ ფიდელის თავკაცობით სავარჯიშო სროლები მოეწყო – ეს აუცილებელი იყო, რადგან ექსპედიციის ზოგიერთი წევრი ცხოვრებაში პირველად ისროდა, იმავე დღის საღამო ხანს, სანამ ლა-პლატას შემოგარენში გავიდოდით, რაზმი ბოლო სიმაღლის აღებას ცდილობდა. 1957 წლის ბოლოსთვის აჯანყებული ლაშქარი სიერა-მაესტრაზე გამაგრდა.

დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პირველივე დღეებიდან ჯარის წინაშე დიდი პრობლემები იდგა: მკაცრი წესრიგის დამყარება, მეთაურთა შერჩევა, აგრეთვე ბრძოლის მარჯვედ წარმართვისთვის შტაბის ჩამოყალიბება. ჩე: **„განვახორციელეთ რამდენიმე მცირე ოპერაცია, მთავარი ის იყო, რომ ერთ ადგილას დავბანაკდით. მასალა შორიდან მხრებით მოგვქონდა, ასე ავაგეთ სახარაზო და სასარაჯო სახელოსნოები, ელექტროღუმლიანი მცირე საიარაღო ქარხანა, სამჭედლო, ავაგეთ აგრეთვე ფურნე, რამდენიმე სკოლა და სალექციო შენობები. ცოტა მოგვიანებით შევქმენით რადიოსადგური „რადიო რებელდე“ და გამოვეცით პირველი გაზეთი, რომელსაც „ელ კუბანო ლიბრე“ დავარქვით. ასე და ამრიგად, თანდათან ვიკრებდით ძალას, ხან ერთ ფრონტზე და ხან მეორეზე ხელთ ვიგდებდით შაშხანებს. მერე მოხდა მეორე ბრძოლა პინო-დელ-აგუაში, რომელიც ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა. ბეჭდური სიტყვის უქონლობის გამო ამ ბრძოლამ დიდი პოლიტიკური რეზონანსი გამოიწვია“.**

„სამშობლო ან სიკვდილი!“

ასე იჭყოდა ერნესტო ჩე გევარა

ქართულად გადმოაქნა
გურამ გოგიაშვილმა

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

(ᲛᲔᲝᲥᲕᲡᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

* * *

ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲐᲡ საზღვარი არ ჰქონდა. მიმდინარეობდა უძველესი დროიდან აქ მოსახლე ქართველური ეთნოსების მიზანმიმართულად ამოჟლეტა, გენოციდი. განსაკუთრებით ერჩოდნენ ბავშვებს, ახალგაზრდა თაობას, რათა მშობლიური მიწიდან აღეგავათ ქართული გენოფონდი. აფსუა-აფხაზებმა ეს მზაკვრული ჩანაფიქრი მრავალი ჯურის „ბოევიკების“ სისხლიანი ხელებით ბოლომდე მიიყვანეს.

* * *

ᲝᲛᲘᲡ მწვავე ექო მომაცილებდა და შინაგანი მძიმე განწყობა კიდევ უფრო მიღრმავდებოდა. აფორიაქებული გონს მაშინ მოვედი, როცა მეტრო „კრასნაია კრესნიას“ მიწისქვეშა გადასასვლელში შევდგი ფეხი. როგორც ყოველთვის, იქ მგზავრთა სიმრავლე იგრძნობოდა. ეს მეტად კოლორიტული „მიწისქვეშეთი“, როგორც იტყვიან, თავის ამპლუაში იყო. ე.წ. „ქუჩის მუსიკოსები“ და მხატვრები ძალიან თავისებურად, თითქმის ხელოვნების დონეზე, მშვენივრად ართმევდნენ თავს თავიანთ შთაგონებას – გამვლელ-გამომვლელთ სთავაზობდნენ თეატრალიზებულ სანახაობებს.

მხატვრები გამოწვევაზე იყვნენ: „გინდათ დაგხატოთ ისტორიისთვის? – მობრძანდით“ – ასეთი სიტყვებით მოგვმართავდნენ ისინი ყველას.

მუსიკოსები კი სასიამოვნო, მრავალფეროვანი ჰანგებით ავსებდნენ აქაურობას.

არც მეტი, არც ნაკლები – მთელი მიწისქვეშა გადასასვლელი თეატრალური, ვოკალური და სახვითი ხელოვნების სივრცედ იყო გადაქცეული.

საკმაოდ რთულ სცენარში მეტად ორიგინალური, იშვიათი ელფერი და შინაარსი შეჰქონდა ახალგაზრდების ჯგუფს, ე.წ. „ხაზინადრებს“, რომლებიც მეტად აქტიურობდნენ – ხელგაწვდილებს „კეპკა-ყულაბა“ ეჭირათ ხელში და სიცილის მომგვრელი მიხრა-მოხრით, უცნაური სტილითა და მანერებით ცდილობდნენ, არტისტული ყოფილიყვნენ, რათა გამვლელთა ყურადღება მიექციათ, მოეხიბლათ ისინი და მათგან მეტი წყალობა მიეღოთ.

ისინი ერთგვარ ტრიუკებსაც მიმართავდნენ, რაც კარგად გამოსდიოდათ და გულმოწყალე მგზავრებს იზიდავდნენ, ბევრი მათგანი ჩხრიალით უშვებდა მონეტებს „კეპკა-ყულაბაში“. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მომღიმარნი და სიცილმორეულნი ქაღალდის კუპიურებსაც კი ჩაუფენდნენ „კეპკაში“.

ყველაფერ ამას, როგორც სხვა დროს, აქ მოხვედრისას, ჩუმად კედელს მიყრდნობილი დიდი გულისყურით ვადევნებდი თვალს. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიქნებოდი ასე, რომ „ხაზინადარი“ ჩემ წინ კლოუნის გამომეტყველებით თავისი „შაპკით“ არ შეჩერებულიყო.

ის თავისებური ღრმა თავის დაკვრითა და წარბების შეთამაშებით მომადგა. მართალი გითხრათ, მეც ველოდი ამ წუთს. მზად მქონდა, „პორტმონედან“ წინასწარ ამოღებული ხელისგულით გამთბარი ხურდები, რაც მორიდებულად გავიღე „მიწისქვეშეთში“ გამართულ თეატრალიზირებულ, საკმაოდ სასიამოვნოდ აღსაქმელი ღონისძიებისთვის, რამაც მცირედი დროით მომწყვიტა უბედურებადატრიალებულ მშობლიურ კუთხეზე სევდიან ფიქრს.

სანამ მეორე „ხაზინადარი“ აიწყვეტდა და ჩემამდე მოვიდოდა, იმ ატმოსფეროსთვის შესაფერისი რევერანსით, დავტოვე იქაურობა და, თითქმის სირბილით გამოვაღწიე გარეთ და, იქვე, ახლო „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩაზე გავედი, რომელიც აუცილებლად ქართულ ტაძრამდე მიმიყვანდა, თუ იმის აღმართს ავუყვებოდი, მაგრამ, როგორც ყოველთვის, აქ, ახლომახლო მოხვედრისას, ჩვევას ვერ ვუღალატე და დიდი შოთა რუსთაველის მოედნისკენ გადავუხვიე, სადაც სხვა წლებშიც ვყოფილვარ და სიამაყის გრძნობით აღვსილვარ. ეს სივრცე, რასაც რუსთაველის ბიუსტი ამშვენებს, მეტად შთამაგონებელია და სიმშვიდისმომგვრელი.

დღეს, დევნილობის უკუღმართ ჟამს, ბიუსტის სახით შოთა რუსთაველის ხატებასთან თვალის შევლებას სულ სხვა ფსიქოლოგიური დატვირთვა ჰქონდა ჩემთვის – შინაგანი მწარე განწყობებისა და ღრმა ტკივილიანი ემოციებისგან უნდა განვეტვირთე...

* * *

ᲑᲐᲚᲘᲡ გრძელ სკამზე ჩამოვჯექი, მოგონებით წარსულში გადავეშვი. როგორც იტყვიან, ხელისგულივით თვალწინ გადამეშალა საქართველოს მთა-ბარი, ჩვენი ქვეყნის ულამაზესი კუთხე-ალაგი, რომელთა ღირსსახსოვარი ადგილები, ფეხით მომივლია წლების წინ ქართული ზეპირსიტყვიერების ექსპედიციებში, ტურისტულ ლაშქრობებსა და ალპინიადებში მონაწილეობისას.

ოცნებებს ავყევი, გონებით მოვიარე მონატრებული გულით მონაფერი, წითელი ყაყაჩოებით მოჩითული უფლისციხის ძირას გაშლილი მინდორ-ველი, ხევსურული ალპური ხეობები, ხევხუვები... ქართული ხუროთმოძღვრებით ნაქარგი ტაძრები და ციხე-სიმაგრეები.

შინაგანი სიმძიმილი ცოტათი დავძლიე, მაგრამ სახვალიო საიმედო განწყობა არ მომცემია; კვლავ წუთიერად აღდგა ჩემში აფხაზეთი – გადამწვარი ქართული სახლ-კარები, ბოლომდე ტანჯვა-წამებით ამოხოცილი ქართველობა. ტკივილს კიდევ უფრო მიმძაფრებდა დიდი გალაკტიონის პოეტური სტრიქონი: „დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!“

* * *

ᲙᲐᲠᲒᲐ ხანს ვიჯექი გონებააფორიაქებული და სევდამოცული. ვგრძნობდი, რომ ჩემთვის მეტად გულმისავალ სივრცეშიც ვერ ვპოულობდი სიმშვიდეს. მძიმედ წამოვდექი. ნაბიჯი წინ გადავდგი და შოთას ბიუსტთან შევჩერდი. ახლაც, როგორც ყოველ მოსვლისას, გულის კარნახით, ჩემებური რიტუალი უნდა შემესრულებინა; ფრთხილად ამოვიღე ჩანთიდან თეთრი ვარდი და ქვაში გასხეულებული მსოფლიო მნიშვნელობის სიამაყეს სამხრეებზე დავაფურცლე, რამაც შინაგანი იდუმალი სიამე მაგრძნობინა.

ამასობაში მზე ჰორიზონტს უახლოვდებოდა, გზას დავადექი: „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩას ავუყევი, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიისკენ, სადაც ადგილობრივ ქართველ მრევლთან ერთად, უკვე კარგახანია თავს ვიყრიდით დევნილები აფხაზეთიდან.

სავალი რამდენიმე წუთში გავლიე და აი, უკვე წმინდა ტაძარში ვარ. სხვა მორწმუნეების მსგავსად, მეც ვიყიდე სანთლები და ავანთე; შავთავსაფრიან ქალს გვერდით ამოვუდექი.

უცებ ჩემს მეხსიერებაში ნათელხილვასავით აღდგა ბავშვობის სახლი სამეგრელოში. თვალწინ დამიდგა აღდგომის ღამე, როცა მთელ სოფელს სიხარულით თავზე დაგვათენდებოდა ხოლმე...

სამწუხაროდ, ეს იყო წინათ. დღეს კი არის სულ სხვანაირად, სიმშვიდე დრომ თან წაიღო... ჩემი ცხოვრების გზაზე მუქმა ფერებმა იძალა. ომმა, რომლის ექოც თან მდევს, არ მასვენებს. დღემდე ვერ ვიშუშებ გულში გაჩენილ ჭრილობებს...

* * *

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ადგილი გადავინაცვლე და, ბოლოს მოძღვართან ახლოს შევჩერდი. ვგრძნობდი, მლოცველნი ჩემთვის შეუცნობი განცდითა და საფიქრალით იყვნენ დატვირთული. ისინი ანთებული სანთლებით ხელში, თავისთვის, ჩუმად, ტუჩების თავისებური ცმაცუნით წარმოთქვამდნენ სათქმელს. დროდადრო პირჯვარს იწერდნენ და გარინდულები ელოდნენ დიდი ზეიმის დაწყებას.

მეც მოვიტანე წმინდა ტაძარში ჩემი გულისთქმა – ჩურჩულით ვიმეორებდი ჩემი უბნის ქართველი და აფხაზი ბიჭების სახელებს: ზურაბი, ასთამური, მერაბი, რენატი, ზაზა, დაური... და რიგრიგობით ვანთებდი კელაპტრებს მათი სულის მოსახსენებლად.

* * *

ᲡᲐᲐᲦᲓᲒᲝᲛᲝ ლიტურგიის დაწყებამდე კიდევ რამდენიმე საათი რჩებოდა. აფხაზეთიდან დევნილი მრევლი ეკლესიის დარბაზიდან ეზოში გამოვიდა, ნაცნობებმა ერთმანეთი მოვიკითხეთ. უცნობებს გავეცანით და მალე კავშირში შევედით.

სამწუხაროდ, აფხაზეთში ომით მოტანილი უბედურების იქით ჩვენი საუბარი არ წასულა; გადავწყვიტეთ, რომ აღდგომის განთიადს ტაძრის გუმბათქვეშ შევხვედროდით.

მალე ყველანი დაუბრუნდნენ ეკლესიის დარბაზს. მე, რატომღაც, რამდენიმე წუთით განმარტოება ვარჩიე.

* * *

ᲨᲔᲦᲐᲛᲔᲑᲘᲡ ჟამმა დაჰკრა. კვლავ მოგონებებმა და ფიქრებმა გამიტაცეს. ვხედავდი, რომ ვარსკვლავები ცის კაბადონზე ნელ-ნელა იწყებდნენ ნათებას. შუქით ივსებოდა ცის თაღი... ასე მეჩვენებოდა, რომ სინათლე ჩანჩქერივით მიწაზე იღვრებოდა და ირგვლივ უჩვეულოდ იფრქვეოდა...

ვიგრძენი, რომ ეს იყო ჩემი სულისშემძვრელი წუთიერი ნეტარება ღვთიური დღესასწაულის მოლოდინში, რამაც მიბიძგა და შემაბრუნა ტაძარში, სადაც დევნილ მორწმუნეთა შორის ადგილი დავიკავე.

* * *

ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲐ აღდგომის ღამე. დაიწყო დიდი ლიტურგია... ნეტარებისა და სიხარულის ზეიმი... „ქრისტე აღსდგა“, „ქრისტე აღსდგა“ – „ჭეშმარიტად“, „ჭეშმარიტად“... აღმაფრენი სიტყვები ავსებდა ტაძარს.

* * *

ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ განთიადის ამონათებას აქ შეეგებნენ ეკლესიის მსახურები და მრევლი. ყველას ხვდა თავისი წილი სიხარული, მიეცათ იმედი და კიდევ უფრო განუმტკიცდათ ხვალინდელი დღის რწმენა.

მრევლმა ნელ-ნელა დაიწყო დაშლა. მეც დავტოვე ქრისტიანული სიუჟეტებით შთამაგონებლად მოხატული წმინდა გიორგის ტაძრის კედლები და კმაყოფილებით იმ ქუჩის დაღმართზე დავეშვი, რომელმაც ამას წინათ ეკლესიამდე მომიყვანა.

* * *

ᲕᲩᲥᲐᲠᲝᲑᲓᲘ. ხმაურიან „კრასნაია პრესნიას“ მეტროს მოვერიდე, სადაც, ალბათ, უკვე თავს იყრიდნენ სხვადასხვა პროფესიის „შოუმენები“, რათა თეატრალიზებული სანახაობის ახალი, ორიგინალური პროგრამით გაეკვირვებინათ მგზავრები, და მეტრო „ბარიკადნაიასკენ“ განვაგრძე გზა, სადაც ყოველთვის მრავლად იყო შემომსვლელ-გამომსვლელი და მომლოდინენი, მაგრამ უხმაურო და უშფოთველი მეჩვენებოდა აქაურობა. სიმშვიდეში კი, ადვილად შევდიოდი ფიქრის ლაბირინთებში ავ-კარგის გააზრებასაც კარგად ვახერხებდი.

არ გაიკვირვოთ, თუ ვიტყვი, რომ დევნილობის პირველი დღეებიდან მოსკოვის ნებისმიერ უმშვენიერეს მეტროსადგურში ჩავდიოდი არა მარტო მაშინ, როცა სადმე წასასვლელი ვიყავი, არამედ ხშირად, როცა ცუდ გუნებაზე ვიდექი, რადგან ასე მეჩვენებოდა, თითქოს, დაკარგული ცხოვრების რიტმს და მაჯისცემას ვუერთდებოდი...

* * *

ᲓᲘᲐᲮ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, კვლავ ფიქრს მივეცი თავი და, ჩემში ისევ აფხაზეთის ჭირისუფალი აღმოვაჩინე.

თვალწინ მედგა სოხუმელი დათო ქობულიას და სხვათა მრავალთა ოჯახებში დატრიალებული ტრაგედია, რომლებზედაც ზემოთ ძალიან მოკლედ მოგითხრეთ. კვლავ გულს მითელავდა საკუთარ სახლებში, ეზოებში დაკრძალულთა საფლავების ბედი...

მიუხედავად იმისა, ტაძრიდან სააღდგომო დღესასწაულის საზეიმო, ნეტარების განწყობა გამომყვა, ვერ ვიშორებდი შინაგან წუხილსა და ვაებას.

ომის ექო ყურში დამთრგუნველად ჩამკიოდა და შინაგან განგაშს იწვევდა ჩემში.

* * *

ᲓᲦᲔᲡ აღდგომაა! ღვთაებრივი დღესასწაული! ბავშვობიდან ქვეშეცნეულად ვგრძნობ და აღვიქვამ მის იდუმალებას და სიდიადეს... ყოველ ჯერზე მის მოსვლას დიდი მოლოდინი მოაქვს და იმედებით მავსებს... ასეა დღესაც, თუმცა, ვარ მშობლიურ კუთხედაკარგული და კერაჩამქრალი... სწორედ ჩემნაირ გასაჭირში მყოფთა მისამართით უთქვამს დიდ ესპანელ პოეტს და ჰუმანისტ რაფელ ალბერტის: – „დევნილი კაცის ყველა საათი მარადისობის ტოლია თითქმის“.

* * *

ᲓᲘᲐᲮ, ვარ დევნილი, და ჩემში უწყვეტად რეკავენ მწუხრის ზარები!!!...

მძიმეა, ასე განვლო წუთისოფელი...

P.S. ხვალ აღდგომის პირველი ორშაბათია. წავალ და მოვინახულებ დონის მონასტერსა და „ყოვლადწმინდათა“ ეკლესიას. ორივე ტაძარში შიგნით და გარეთაც – ეზოში, გაწისვენებენ პირველი ქართველი ლტოლვილები რუსეთში.

მიხაკებს მოვაყრი უცხო მიწაზე საუკუნეგამოვლილ განსვენებულთა საფლავებს, რომელთა ნაწილი, სამწუხაროდ, მოშლილია და აღდგენას მოითხოვს.

მოვალ, ამ წმინდა ადგილებს მოვივლი. მოკრძალებით ავანთებ სანთლებს მათ მოსახსენებლად და მუხლმოდრეკილი დაველოდები, კელაპტრები სანამ არ ჩამოიღვენთებიან... აქ, ძალაუნებურად, დიდი გულისტკივილით განვაგრძობ სევდაგაწოლილ ფიქრს აფხაზეთში მოთარეშე სხვადასხვა ჯურის მკვლელ-მძარცველების მიერ ამოხოცილი ქართველების გაბნეულ საფლავებზე და კვლავ მათი ჭირისუფლად ვრჩები.

* * *

...**ᲓᲐ** თუ მიიღბლა და ოდესმე მშობლიურ კუთხეში მოვხვდი, უპირველესად დათო ქობულიას საფლავს მოვიძიებ...

ᲓᲝᲜᲐ ᲙᲝᲚᲮᲘ – ᲓᲝᲓᲝ ᲜᲐᲠᲛᲐᲜᲘᲐ

30.06.2020

ᲢᲔᲚ: 558 340 771

ᲡᲣᲡ-ᲘᲡ ᲝᲙᲣ�პᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ 21 ᲬᲚᲘᲡ ᲢᲐᲢᲝ ᲖᲐᲠᲥᲣᲐᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲡ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲢᲐᲢᲝ ᲖᲐᲠᲥᲣᲐ ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲘᲖᲝᲚᲐᲢᲝᲠᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ.

სუს-ის ინფორმაციით, ამოქმედებულია ცხელი ხაზი და საქმის კურსშია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში.

დაკავებულის ნათესავების ინფორმაციით, ტატო ზარქუა 3 ივლისს საოკუპაციო რეჟიმმა დააკავა. მათი თქმით, ოჯახს დაუკავშირდნენ გალის წინასწარი დაკავების იზოლატორიდან და უთხრეს, რომ ტატო ზარქუა დაკავებულია ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის დროს.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მერი ქებურიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მერი ქებურია (პ/ნ 19001014641), ქ. ზუგდიდი, ლაზის ქ. №50

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. ზუგდიდი, ლაზის ქ. №50 (საკადასტრო კოდი: 43.31.69.057https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 9009.79 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 3 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 17 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66479920;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 664799

6. **მოვალე:** იოსებ კვიკვინია (პ/ნ 19001015157), ქ. ზუგდიდი, ლაზის ქ. №50.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66479920; ლოტის ნომერი: 664799).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 17 ივლისის 10:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ლია დოდაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლია დოდაშვილი (პ/ნ 01008002213), ქ. რუსთავი, მე-17 მ/რ, კორპ. 21, სართ. 1, ბინა №37

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. რუსთავი, მე-17 მ/რ, კორპ. 21, სართ. 1, ბინა №37 (საკადასტრო კოდი: 02.02.03.147.01.037https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 12468.72 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 3 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 17 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66476220;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 664762

6. **მოვალე:** ლია დოდაშვილი (პ/ნ 01008002213), რუსთავი, მე-17 მ/რ, კორ. 21, სართ. 1, ბინა №37;

ჯიმშერ დოიაშვილი (პ/ნ 13001011268), რუსთავი, მე-17 მ/რ, კორ. 21, სართ. 1, ბინა №37.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66476220; ლოტის ნომერი: 664762).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 17 ივლისის 10:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „დიღომი პალასი 6“-ის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „დიღომი პალასი 6“ (ს/ნ 405083305), ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, ყიფშიძის შესახ. №15, სართული 3.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი №7, სადარბაზო №2, სართ. 1, ბინა №7 (საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.172.01.02.007https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 72303.9 ლარი დღგ-ის ჩათვლით;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 3 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 17 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66479220;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 664792

6. **მოვალე:** როდამ ჩახუნაშვილი (პ/ნ 17001020606), თბილისი, დიდი დიღომი, პეტრე იბერის შესახვევი №7, არქი პალასის „ფ“ კორპუსი, სად. 2, სართ. 1, ბინა №7.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66479220; ლოტის ნომერი: 664792).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 17 ივლისის 10:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს კობა ოქროპირიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** კობა ოქროპირიძე (პ/ნ 61004006820), ქობულეთი, გულო კაიკაციშვილის ქ. 19, ბინა 12.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №163 (საკადასტრო კოდი: 05.32.09.027).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 53239.09 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 3 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 15 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66475820;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 664758

6. **მოვალე:** კობა ოქროპირიძე (პ/ნ 61004006820), ქობულეთი, გულო კაიკაციშვილის ქ. 19, ბინა 12;

ელეონორა ცაცანიდი (პ/ნ 61004009406), ქობულეთი, გულო კაიკაციშვილის ქ. 19, ბინა 12;
ვლადიმერ ოქროპირიძე (პ/ნ 61004015178), ქობულეთი, გულო კაიკაციშვილის ქ. 19, ბინა 10.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66475820; ლოტის ნომერი: 664758).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 15 ივლისის 10:00 საათამდე.

◎ დაფასება

ლევან კობიაშვილი გერმანიაშიც გამოარჩიეს

ლევან კობიაშვილი **გამოცემა** footballski.fr-მა **იმ აღმოსავლეთევროპელ ფეხბურთელთა სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა, რომლებსაც გერმანიის ბუნდესლიგაში ყველაზე წარმატებული კარიერა ჰქონდათ.**

საინტერესო ისაა, რომ ლევან კობიაშვილი გერმანული კარიერის დროს (ფრაიბურგი, შალკე, ჰერტა) მარცხენა მცველად და ნახევარმცველად, ასევე საყრდენ და ცენტრალურ ნახევარმცველად თამაშობდა, ის კი ცენტრალური მცველის პოზიციაზე დაასახელეს, ხოლო სიმბოლური ნაკრები 4-4-2 სათამაშო სქემით შეადგინეს.

სიმბოლური ნაკრები

მეკარე: გაბორ კირალი (უნგრეთი)

მცველები: ჰასან სალიჰამიჯიჩი (ბოსნია), რობერტ კოვაჩი (ხორვატეთი), ლევან კობიაშვილი (საქართველო), დავიდ ალაბა (ავსტრია).

ნახევარმცველები: იაკუბ ბლაშჩიკოვსკი (პოლონეთი), ნიკო კოვაჩი (ხორვატეთი), პალ დარდაი (უნგრეთი), ზვეზდან მისიმოვიჩი (ბოსნია).

თავდამსხმელები: კრასიმირ ბალაკოვი (ბულგარეთი), რობერტ ლევანდოვსკი (პოლონეთი).

მწვრთნელი: ერნსტ ჰაპელი (ავსტრია).

ფრანგულმა გამოცემამ ქართველი ფეხბურთელი, რომელიც თამაშების რაოდენობით გერმანიის ბუნდესლიგის ერთ-ერთი რეკორდსმენია (351 მატჩში 33 გოლი), ასე დაახასიათა: **„ის ძმები არველაძეების, გიორგი ქინქლაძისა და თემურ ქეცბაიას შემდგომი თაობის ფეხბურთელია. ლევან კობიაშვილი 20 წლისაც არ იყო, როდესაც ფრაიბურგში ჩაირიცხა. უნივერსალი მცველი, რომელიც თბილისის დინამოსთან ერთად მანამდე საქართველოს ჩემპიონი სამჯერ გახდა, თამაშობდა დაცვიშიც და ნახევარდაცვაშიც. მან მრავალი გადამწყვეტი გოლი გაიტანა ფრაიბურგში, რომელიც 2000-იან წლებში პატარა ქართული კოლონია გახდა, სადაც ასევე თამაშობდნენ მისი მეგობრები ალექსანდრე იაშვილი და ლევან ცქიტიშვილი“,** — წერს გამოცემა.

სიმბოლურ ნაკრებში კობიაშვილის გასწვრივ შალკე წერია, ანუ საუკეთესოებში ამ კლუბში თამაშის გამო მოახვედრეს: **„ფრაიბურგში გატარებული 5 წლის შემდეგ კობიაშვილი შალკეს შეუერთდა, სადაც მოიპოვა გერმანიის თასი და მონაწილეობდა რამდენიმე ევროპულ კამპანიაში, მათ შორის უეფას თასის ნახევარფინალში. დაბოლოს, მან კარიერა ბერლინის ჰერტაში 2014 წელს დაასრულა გუნდში გატარებული 5 სეზონის შემდეგ. კობიაშვილი იყო პირველი ქართველი მოთამაშე, რომელმაც ეროვნულ გუნდში 100 მატჩი ჩაატარა. 2015 წლიდან არის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი“.**

საინტერესო დეტალი — სიმბოლურ ნაკრებში არ არის ბევრი ცნობილი მოთამაშე. მაგალითად, უკრაინის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ანატოლი ტიმოშჩუკი, რომელიც მიუნხენის ბაიერნში წლების განმავლობაში წარმატებით თამაშობდა და ასევე სომხეთის ნაკრების კაპიტანი ჰენრიხ მხითარიანი, რომელიც დორტმუნდის ბორუსიიდან ლონდონის არსენალში გადავიდა.

გიორგი ზოთაძე

◎ ახალი გამოწვევა



იგორ კოკოშკოვი - თურქულ გრანდში

სტამბოლის „ფენერბახჩემ“ ოფიციალურად დაადასტურა იგორ კოკოშკოვის მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნა. სერბმა სპეციალისტმა თურქულ გრანდთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და საქმიანობას მალე შეუდგება.

იგორი პარალელურად სერბეთის ნაკრებშიც იმუშავებს. მოგეხსენებათ, კოკოშკოვი 2008-2015 წლებში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო და 2011, 2013 და 2015 წლებში ევრობასკეტის ფინალურ ეტაპზე ვითამაშეთ.

იგორ კოკოშკოვს NBA-ში მუშაობის გამოცდილებაც აქვს როგორც მთავარი მწვრთნელის, ისე ასისტენტის რანგში, მაგრამ მთავარ წარმატებას მაინც 2017 წელს მიაღწია, როდესაც სლოვენიის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონი გახდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფორმულა 1

როგორც იქნა...

როგორც იქნა, ფორმულა 1-ის 2020 წლის მსოფლიო ჩემპიონატმა სტარტი აიღო. პირველ ეტაპს ავსტრიის შპილბერგი და მისი რედ ბულ რინგი მასპინძლობს და როგორც მოსალოდნელი იყო, „მერსედესი“ კვლავ პირველია.

გერმანული მანქანები, რომლებსაც ახალი ფერის გამო ამიერიდან „შავ ისრებად“ მოიხსენიებენ, კვლავ საუკეთესოა პელოტონში. ყოველ შემთხვევაში, პირველ კვალიფიკაციაზე ასე გამოჩნდა, ოღონდ პოულისთვის ბრძოლაში ამჯერად ვალტერი ბოტასმა გაიმარჯვა, რომელმაც თავის ბოლო ცდაზე შეცდომა დაუშვა, თუმცა, წინა დრო მოსაგებად საკმარისი გამოდგა. მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი ლუის ჰამილტონი მას მხოლოდ 0.012 წამით ჩამორჩა.

ამგვარად, „მერსედესის“ პილოტებმა სტარტზე ორი მოწინავე პოზიცია 65-ედ მოიპოვეს და ამ მაჩვენებლით „ფერარის“ რეკორდი გაიმეორეს. ჰამილტონს სამივე პრაქტიკაზე საუკეთესო დრო ჰქონდა, თუმცა, ბოტასმა სიჩქარეს მაშინ მოუმატა, როცა საჭირო იყო და მიზანსაც მიღწია. საინტერესოა, რომ ბოტასმა ავსტრიაში პოული უკვე მესამედ მოიპოვა.

„რაც მოხდა, შესანიშნავია, რადგან ეს გრძნობა ძალიან მომენატრა. გუნდმა შესანიშნავად იმუშავა და ამის წყალობით ჩვენ საკუთარ ლიგაში ვიყავით“, — ნარბოლევს განაცხადა ბოტასმა.

„რედ ბულის“ მაქს ფერსტაპენი, ვისაც ავსტრიაში წინა ორი რბოლა აქვს მოგებული, მესამე შედეგს დასჯერდა. ის ბოტასს ნახევარ წამზე მეტით ჩამორჩა. საინტერესოა, რომ პირველ ათეულში შემავალი პილოტებიდან ის ერთადერთია, ვინც რბოლას საშუალო საბურავებით დაიწყებს. მეორე რიგში მის გვერდით პელოტონში ყველაზე ახალგაზრდა მრბოლი, „მაკლარენის“ პილოტი ლანდო ნორისი დადგება.

სეზონი წარუმატებლად დაიწყო მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა სებასტიან ფეტელმა, ვინც ტოპ ათეულს მიღმა დარჩა. მხოლოდ მე-7 დრო ჰქონდა მის თანაგუნდელ შარლ ლეკლერს, ვისაც შარშანდელი კვალიფიკაცია აქვს მოგებული. მარცხის მიუხედავად, ფეტელმა იმედი გამოთქვა, რომ რბოლაში სულ სხვა სურათს ვიხილავთ.

ათეულში შევიდა „რეისინგ პოინტის“ ორივე პილოტი. ამ გუნდის სიჩქარემ ბევრი გაოცებული დატოვა. მცირე წინსვლა აქვს „უილიამსს“,



რომლის ჯორჯ რასელმა „ალფა რომეოს“ ორივე პილოტი და ახალბედა თანაგუნდელი ნიკოლას ლატიფიც უკან მოიტოვა, თუმცა, ნარბოლევს განაცხადა, რომ მისი გუნდი კვალიფიკაციის მეორე ეტაპზე გადასასვლელად ჯერ მზად არაა.

ისევე, როგორც კვალიფიკაცია, სეზონის სასტარტო რბოლაც ცარიელი ტრიბუნების წინაშე გაიმართება.

ბეჟან დოლიძე

◎ წყვილი

კორონავირუსისგან განიკურნენ

მსოფლიოს ნომერ პირველ ჩოგანს ნოვაკ ჯოკოვიჩსა და მის მეუღლეს ელენა რისტიჩს კორონავირუსის ტესტზე უარყოფითი პასუხი მიუვიდათ. წყვილს კორონავირუსი Adria Tour-ის ჩატარების შემდეგ დაუდასტურდა და ტესტი მას შემდეგ გაიკეთა, რაც აღნიშნული ვირუსი ტურნირის მონაწილეს გრიგორ დიმიტროვს აღმოაჩნდა.

როგორც „ნოლეს“ გუნდის განცხადებაშია ნათქვამი, ნოვაკი და მისი მეუღლე ბოლო ათი დღის განმავლობაში თვითიზოლაციაში იყვნენ და პროტოკოლით გათვალისწინებულ ყველა წესს იცავდნენ.

ჯოკოვიჩის მიერ წამოწყებული ადრიას ტური ბელგრადში მისსავე საჩოგბურთო კომპლექსში დაიწყო და მას რამდენიმე ცნობილი ჩოგბურთელი შეუერთდა. მატჩების შემდეგ სურათები გავრცელდა, თუ როგორ ეხუტებიან ჩოგბურთელები ერთმანეთს, თამაშობენ კალათბურთს და ერთად იღებენ ფოტოებს.

კოგა კოგახიძე

◎ ინტერნეტიდან

ცოლის წვლილი

მას შემდეგ, რაც „ლივერპულმა“ 30-წლიანი დამღლელი ლოდინის შემდეგ როგორც იქნა ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, რა გასაკვირია, რომ არამხოლოდ დიდი ბრიტანეთის, არამედ მთელი მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროს ყურადღების ცენტრში ეს კლუბი და მისი გერმანელი მწვრთნელია მოქცეული.

ალბიონის ბულვარულმა მედიამ იურგენ კლოპს დამსახურებულად უძღვნა დითირამბები და მწვრთნელის დიდების შარავანდედი, გაგიკვირდებათ და, მის ცოლს, ხელობით მწერალს ულა სანდროკსაც გადასწვდა, რომელიც დიდი ეპატაჟურობით არასოდეს გამოირჩეოდა და, ზოგადად, ჭკვიან ქალადაა აღიარებული.

ჟურნალისტებმა გაიხსენეს, რომ იურგენის ინგლისში სამუშაოდ გადასვლაში უდიდესი წვლილი სწორედ მის ცოლს მიუძღვის. ულამ მოახერხა და კლოპის მსურველი არაერთი დიდი კლუბის ხელმძღვანელები გააბრუნა ბუზღუნით. ამან, როგორც ხედავთ, სათანადო შედეგი გამოიღო და კლოპმა შარშან ჩემპიონთა ლიგა მოიგო, წელს კი ლივერპულელ ქომაგს მონატრებული ინგლისის ჩემპიონობაც აღირსა.

მანუჩარ გიორგაძე

ამინდმა მოსავალი გაანახევრა, ფასი კი გაზარდა!

კახეთში ალოობა აქტიურ ფაზაში შევიდა. ზამთარში მშრალი ამინდების და შემდეგ გვიან გაზაფხულზე ყინვის გამო, წელს მოსავალი თითქმის განახევრებულია. მცირემიწიანი ფერმერების თქმით, წელს პრობლემაა მოსავლის ამღები ტექნიკის ნაკლებობაც.

შირაქის, ალაზნისა და ტარიბანას ველზე თავთავიანი კულტურების აღება დაიწყეს. როგორც ადგილობრივი მეხორბლე ელიზბარ იმერლიშვილი ამბობს, ზამთარი მშრალი იყო, გვიან გაზაფხულზე ნათესები მოიყინა, შემდეგ კი გვალვა დაიწყო, რამაც მოსავალი მნიშვნელოვნად შეამცირა. კარგი კლიმატური პირობების შემთხვევაში, თუ ერთ ჰექტარზე 4 ტონა უნდა მიეღოთ, ახლა ტონა-ნახევრით ან ორი ტონით უფრო ნაკლებს იღებენ. უნალექო ზამთრის გამო სიღნაღსა და დედოფლისწყაროში მინდვრის თაგვიც მომრავლდა, რამაც წელს ყანებს კიდევ უფრო მეტი ზიანი მიაყენა.

„არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო წელს ხორბალი გაცილებით ადრე შემოვიდა, თუმცა თავთავების ნაწილში ხორბალი არ არის. ახლა ჰექტარზე ვიღებთ 2 ტონას ან 2.5 ტონას, რაც, გასული წლის მოსავალთან შედარებით, თითქმის განახევრებულია“.

გარდა შემცირებული მოსავლისა, მცირემიწიანი ფერმერები მოსავლის ამღები ტექნიკის ნაკლებობაზეც ჩივიან. მეხორბლეების თქმით, ხვნა-თესვის პროცესშიც და ახლაც პრიორიტეტი ყოველთვის მსხვილ ფერმერებს ენიჭებათ, მცირე და საშუალო ფერმერებს კი რიგში დგომა და ლოდინი უწევთ, რის გამოც მოსავლის აღება გვიანდება და ისედაც მცირე მოსავალი, მინდორშივე იკარგება.

„მექანიზატორები ყოველთვის ცდილობენ, რომ იმუშაონ იქ, სადაც ხორბალი დიდ ფართობებზე თესია, დიდი ფართობები კი მსხვილ ფერმერებს აქვთ, შესაბამისად“, — ამბობენ დედოფლისწყაროელი ფერმერები. მათივე ინფორმაციით, კლიმატური და სხვა სახის პრობლემების ფონზე, წელს ხორბლის ფასი გაცილებით მაღალია. ამიტომ, ვარაუდობენ, რომ, შესაძლოა, ზარალმა დიდ მასშტაბებს არ მიაღწიოს.

ქერის და ხორბლის აღების პროცესი რეგიონში ივნისის შუა რიცხვებიდან დაიწყო. თავთავიანი კულტურების აღება, დაახლოებით, ორ კვირაში დასრულდება. წელს საქართველოში 150 ათას ტონამდე ხორბლის მოსავალს ელოდებიან. რაც შეეხება ფასს, ერთი კილოგრამის საბაზრო ფასი საშუალოდ 60 თეთრია.

გიორგი ალადაშვილი

2006 წელს „ციხის ბუნტის“ დროს არა შვიდი, არამედ რვა პატიმარი დაიღუპა!

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ელენე თევდორაძე აცხადებს, რომ „ციხის ბუნტის“ დროს არა შვიდი, არამედ რვა პატიმარი დაიღუპა.

ელენე თევდორაძემ „ციხის ბუნტის“ დეტალები გაიხსენა. როგორც თევდორაძე საქართველოს პირველ არხთან საუბრისას იხსენებს, ციხის ბუნტი ღამით დაიწყო და მას ამის შესახებ პატიმრებმა შეატყობინეს.

„ციხის ბუნტის“ ღამეს, სადღაც 01:30 საათზე პატიმრებმა დამირეკეს. მითხრეს, რომ შემოყვანილია ჯარი, გვიშველეთ, რომ არ გვესროლონ. რა თქმა უნდა, ვთხოვე ჩემს შვილს და ერთად წავედით ყოფილ №5 იზოლატორში. იქ რომ მივედით, დაგვხვდნენ მერაბიშვილი და ადეიშვილი, ასევე იყო შავებში ჩაცმული შინაგანი ჯარი თუ ჩვეულებრივი ჯარი. მე შევთავაზე ვანო მერაბიშვილს, რომ შევიდოდი ციხეში, დაველაპარაკებოდი პატიმრებს და ისინი შევიდოდნენ საკნებში, რადგან პატიმრებმა თვითონ მითხრეს, რომ, თუ თქვენ მოხვალთ, ჩვენ შევალთ საკნებშიო. სოზარ სუბარიც გამოჩნდა. ჩვენ ვაპირებდით შიგნით შესვლას. ამ დროს მოვარდა ადეიშვილი და კატეგორიულად გვითხრა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეხვიდეთ, რადგან თქვენ შეიძლება მძევლად აგიყვანონ და ჩვენ რა გვეშველებაო.

მე ვუთხარი, რატომ უნდა აგვიყვანონ, სულ არ მეშინია ამის-მეთქი. არ შეგვიშვეს. ვანო მერაბიშვილმა თვითონ წამომიყვანა ბაჩო ახალაიას კაბინეტში. მე ბაჩო ახალაია მაშინ არ მინახავს. ჩვენ იქ ვიყავით და ვეხვეწებოდით ვანოს, რომ არ ესროლოთ პატიმრებს-მეთქი. მან მითხრა, ნუ ნერვიულობ, არ ვესვრითო. ამ ლაპარაკის დროს კაბინეტში შემოვიდნენ ბაჩო ახალაია, ადეიშვილი და ბოკერია. ისინი მერაბიშვილთან შევიდნენ კაბინეტის გვერდით, პატარა ოთახში. დამტოვეს მარტო, ცოტა ხანში ყველანი ერთად გამოვარდნენ ოთახიდან და ცოტა ხნის შემდეგ უკვე სროლა დაიწყო. ამის თვითმხილველი ვიყავი მე“, — განაცხადა ელენე თევდორაძემ.

მისივე თქმით, „ციხის ბუნტთან“ დაკავშირებით, პროკურატურაში დაიკითხა და იმ დროს ციხის დირექტორი დაკავებული იყო.

„მე მგონი, კიდევ რამდენიმე თანამშრომელი იყო დაკავებული. ყველა ამბობს, რომ შვიდი პატიმარი იყო დახვრეტილი. დაიღუპა არა შვიდი, არამედ რვა პატიმარი. როდესაც უკვე ყველაფერი დაწყნარდა და სროლა დამთავრდა, ერთ-ერთი კამერა არ იყო დაკეტილი და იქიდან გამოვიდა პატიმარი, რათა ენახა რა ხდებოდა დერეფანში და პირდაპირ დამიზნებით მას ესროლეს. მე დამირეკეს დილის 06:00 საათზე და მითხრეს, რომ დერეფანში არის დაჭრილი პატიმარი, რომელიც სისხლისგან იცლება და არავინ ეხმარება, მაშინვე დავრეკე ციხის საავადმყოფოში, დაველაპარაკე მთავარ ექიმს, აღმოჩნდა, რომ ზარი იყო ნამდვილი, წამოიყვანეს ეს პატიმარი, მაგრამ დაიცალა სისხლისგან და გარდაიცვალა. მერე გავიგე, რომ ორი დღის შემდეგ, ეს პატიმარი უნდა გამოსულიყო ციხიდან. ამთავრებდა თავის საპატიმრო ვადას.

როგორც კი „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, მე დავიკითხე პროკურატურაში სხვადასხვა ეპიზოდზე, პირველი იყო „ციხის ბუნტის“ საქმე. მაშინ ბაჩო ახალაია და ვანო მერაბიშვილი იყვნენ დაკავებულები. რვა საათის განმავლობაში ვიკითხებოდი და დაწვრილებით დამკითხეს. გავიგე, რომ ბოკერიაც იყო ამ საქმეზე გამოძახებული პროკურატურაში, თუმცა რა ჩვენება მისცა, მე არ ვიცი“, — განაცხადა ელენე თევდორაძემ.

მაინც რატომ არ „იმუშავა“ 9 პროდუქტზე ფასების დაზღვევის სამთავრობო პროგრამამ?!

პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტების სუბსიდირების პროგრამით სახელმწიფო პროდუქტების ფასის სუბსიდირებას 15 ივლისამდე ახორციელებს. რა იქნება მას შემდეგ, რაც სამთავრობო პროგრამა დასრულდება? როგორც აღმოჩნდა, ამ მხრივ ბევრი არაფერი შეიცვლება, რადგან იმპორტიორთა აბსოლუტურ უმრავლესობას პროგრამით არ უსარგებლია. მიზეზი კი უაზრო მოთხოვნები და საჯარიმო სისტემა გახლდათ. ამის შედეგად სწორედ სამთავრობო პროგრამის მოქმედების პერიოდშიც კი ვითომ დაზღვეულ პროდუქტებზე ფასები მაღლა მიიწევდა.

9 ძირითად სამომხმარებლო პროდუქტზე ფასების ზრდის შეჩერება იყო მთავარი ამოცანა, როცა მთავრობამ სუბსიდირების პროგრამა აამოქმედა. ამ ამოცანის შესასრულებლად კი ბიუჯეტიდან 10 მილიონი ლარი გამოიყო.

ბრინჯის, მაკარონის ნაწარმის, წიწიბურას, ზეთის, შაქრის, რძის ფხვნილის, ლობიოს, ხორბლისა და ხორბლის ფქვილის სუბსიდირების მექანიზმი 15 მარტიდან შევიდა ძალაში, თუმცა დიდად მთავრობის შეთავაზება მომხიბვლელი ვერ აღმოჩნდა იმპორტიორებისთვის, რომლებსაც მთავრობა 3 ლარზე ზემოთ იმპორტირებულ პროდუქტზე კურსთაშორის სხვაობას უფარავდა. გამოყოფილი 10 მილიონი ლარიდან მხოლოდ მილიონ 64 ათასი ლარის ათვისება მოხდა. პროგრამის დასრულებამდე ათიოდე დღეა დარჩენილი.

რატომ არ დაინტერესდნენ კომპანიები, მონაწილეობა მიეღოთ სუბსიდირების პროგრამაში? დისტრიბუტორთა ასოციაციის პრეზიდენტი **ივა ჭყონია** აღნიშნავს, რომ მათი არც ერთი წევრი კომპანია პროგრამაში არ ჩართულა და ამას თავისი მიზეზი ჰქონდა.

„როცა მთავრობა უკეთებდა აფიშირებას, რომ პროდუქტები არ გაძვირდება, ეს იყო არასწორი, რადგან ნებაყოფლობითი იყო პროგრამაში ჩართვა და თუ კომპანიები არ ჩაერთვებოდნენ, რა თქმა უნდა, თავისთავად ფასები აიწევდა.

მთავარი დამაბრკოლებელი, რის გამოც იმპორტიორებმა პროგრამაში მონაწილეობა არ მიიღეს იყო ის, რომ 10 მარტამდე ყველაზე იაფად რაც ჰქონდათ გადატვირთული, იმ ფასად უნდა განეხორციელებინათ მხოლოდ პროდუქტის რეალიზება ქსელში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ სერიოზული ჯარიმა დაეკისრებოდათ.

ლოგიკურია, როდესაც წარმოებას აწვდი პროდუქტს, იქ შეიძლება, ძალიან დაბალი ფასნამატით მიაწოდო, მაგრამ როცა რითეილ სექტორს აწვდი, სადაც არის ე.წ. ქეშბექი, მარკეტინგული მომსახურება, შეუძლებელი იყო იგივე ფასში გადაეტვირთათ. სწორედ ეს აღმოჩნდა უმრავლესობისთვის დამაბრკოლებელი. მაგალითად, რძის ფხვნილის მომხმარებელი არის მწარმოებელი და არ არის მომხმარებელი, რომელიც სასურსათო მაღაზიაში შედის, ამიტომ ვნახეთ, რომ რძის პროდუქტები გაძვირდა იმიტომ, რომ მხოლოდ რძის ფხვნილზე სუბსიდირება საკმარისი არ იყო“, — განუცხდა „ბიზნეს მედიას“ ივა ჭყონიამ.

მართალია პანდემიის ფონზე ქვეყანაში პროდუქციის დეფიციტი არ შექმნილა, თუმცა სუბსიდიის გზით პროდუქტებზე რომ ფასები არ გაზრდილიყო, ეს ამოცანა, ფაქტია, არ შესრულდა. ამის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ლარის გაცვლითი კურსი იყო, რა ეფექტიც უნდა გადაეზღვია ასევე სუბსიდირების პროგრამას.

მეწარმე **ბესიკ ახვლედიანი** სწორედ იმას მიუთითებს, რომ ფასებზე სავალუტო რყევების ნეგატიური გავლენა იგრძნობა.

„პანდემიის გამო მდგომარეობის შესამსუბუქებლად მთავრობის სუბსიდია განხორციელდა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ეს შეღავათი მომხმარებელმა იგრძნო. ფასების ზრდის დინამიკა მომავალშიც გაგრძელდება, განსაკუთრებით, როცა სუბსიდია მოიხსნება. ბოლო ტენდენციას თუ დავაკვირდებით, იმპორტი მასშტაბურად შემცირებულია და ეს პროცესი სწორედ მოთხოვნის კლებას უკავშირდება. როგორიც არ უნდა იყოს ფასი, ფაქტია, რომ ახლა მოსახლეობა გადახდისუუნაროა. 10 წელზე მეტია, რაც ტკბილეულს ვაწარმოებ და ასეთი მძიმე პერიოდი არ მახსენდება. უცხოურ ნედლეულს ვიყენებთ, ამიტომ ხარჯი გაგვეზარდა, რაც სარეალიზაციო ფასზეც აისახა. ეპიდემიამ ქვეყანაში დიდი პრობლემა შექმნა და ამ პროცესს ვერაფერს ვუპირისპირებთ“, — აღნიშნა მეწარმემ.

ბექა დანელია

კენჭს ვიყრი აშშ-ის პრეზიდენტად



მე კენჭს ვიყრი აშშ-ის პრეზიდენტად, — წერს ამერიკელი რეპერი კანიე უესტი Twitter-ის საკუთარ გვერდზე.

„ჩვენ უნდა განვახორციელოთ ამერიკის დაპირება უფლის რწმენით, ჩვენი ხედვების გაერთიანებითა და მომავლის შენებით. მე კენჭს ვიყრი აშშ-ის პრეზიდენტად“, — წერს რეპერი.

უესტის ტვიტს ილონ მასკი გამოეხმაურა და დაწერა: „შენ ჩემი სრული მხარდაჭერა გაქვს“.

ეს არაა პირველი შემთხვევა, როცა რეპერმა აშშ-ის პრეზიდენტობის სურვილი გამოთქვა. გასული წლის ნოემბერში კანიე უესტმა განაცხადა, რომ 2024 წელს აშშ-ის პრეზიდენტის პოსტისთვის იბრძოლებს.

მაინც ჩამოაგდეს და ჩაძირეს

აშშ-ში, მერილენდის შტატში, ქალაქ ბალტიმორში საპროტესტო აქციის მონაწილეებმა ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლი ჩამოაგდეს და ნავსადგურში ჩაძირეს.

შემთხვევის ადგილზე, სულ მცირე, 300 ადამიანი იყო შეკრებილი.

„მას შემდეგ, რაც ძეგლი ჩამოაგდეს, ის ნაწილებად დაიშალა. ეს ნაწილები სანაპიროზე გადაიტანეს და პორტში ჩაყარეს“, — ამბობს შემთხვევის თვითმხილველი.

ძეგლი ბილტმორში 30 წლის წინ დადგეს.

ბოლო რამდენიმე კვირაა, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში აზიანებენ ან აგდებენ იმ ადამიანთა ძეგლებს, რომელთაც ანტირასისტული დემონსტრაციების მონაწილეები რასისტებად მიიჩნევენ. 11 ივნისს აშშ-ში, მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ბოსტონში ჯორჯ ფლოიდის მკვლელობის გამო მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეებმა ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლს თავი მოაჭრეს. 10 ივნისს ვირჯინიის შტატის ქალაქ რიჩმონდში საპროტესტო აქციების მონაწილეებმა ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლი ჩამოაგდეს, აშშ-ის დროშაში გაახვიეს, დაწვეს, შემდეგ კი ტბაში გადააგდეს. ბელგიის ქალაქ ანტვერპენში რასიზმთან ბრძოლის ფარგლებში მეფე ლეოპოლდ II-ის ძეგლი მოხსნეს.

ნიანგმა პოლიციელი გაიტაცა

შრი-ლანკაზე ნიანგმა გაიტაცა პოლიციელი, რომელიც მდინარეში ჩავარდნილ ტელეფონს ეძებდა.

პოლიციის თანამშრომელს ტელეფონი მდინარეში ჩაუვარდა. მის საპოვნელად 54 წლის კაცი მდინარეში ჩავიდა. მას მოულოდნელად ნიანგი დაესხა და გაიტაცა. პოლიციელი შველას ითხოვდა, თუმცა ნაპირზე მყოფებმა მისი დახმარება ვერ შეძლეს.



პოლიციელის ძებნის სამუშაოები მეორე დილას დაიწყეს. მაშველებმა მდინარეში გაუჩინარებული კაცის პოვნა ვერ შეძლეს.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატი

6 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულს. ხატს ევედრებიან, რათა უცხოტომელთა შემოსევისგან დაგვიცვას, ევედრებიან მართლმადიდებელი სარწმუნოების განმტკიცებისთვის.

...ვლადიმირის ხატის დღესასწაული წელიწადში სამჯერ აღინიშნება. გადმოცემის მიხედვით მარიამ ღვთისმშობლის ვლადიმირის ხატი ლუკა მახარებელმა დაწერა იმ მაგიდის დაფაზე, რომელზედაც მაცხოვარი ყოვლადწმიდა დედასთან და მართალ იოსებთან ერთად სადილობდა; როდესაც ღვთისმშობელს ხატი უხილავს, უბრძანებია — **„მადლი ჩემი და ჩემგან შობილისა ძისა იქმნას ხატსა ამას ზედაო“.**

ვლადიმირის ხატის ასლები მრავალ ქვეყანაში სასწაულებით განდიდდა.

1568 წელს იოანე მრისხანემ, როცა ასტრახანის პირველი საკათედრო ტაძარი გააუქმეს, იღუმენ კირილეს გადასცა ეს ხატი.

1882 წელს გაუქმდა წესი, რომლის მიხედვით მღვდელმთავრები დაუჯდომელ საგალობლებს აღასრულებდნენ ვლადიმირის ხატის წინაშე.

გიული ლიპარტია

დედოფლის ქოლგების საიდუმლო

გამოცემა The Sun-ის **ჟურნალისტებმა ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ მეორის ქოლგების საიდუმლო ამოხსნეს.**

ელისაბედ მეორე 1993 წლიდან უპირატესობას ანიჭებს Fulton-ის გამჭვირვალე ქოლგებს ფერადი ჩანართებით. ქოლგის ღირებულება 21 ფუნტია. საგულისხმოა, რომ ბრენდი ქოლგებს დედოფლის ინდივიდუალური შეკვეთების საფუძველზე ამზადებს. ფერსაც დედოფალი არჩევს, რომ ქოლგა მის ქუდთან და ჩაცმულობასთან შეხამებული იყოს.

ასე, მაგალითად, ელისაბედ მეორის კოლექციაშია ვარდისფერი, მწვანე, იასამნისფერი, ლუჯი, წითელი, თეთრი, ყავისფერი, მტრედისფერი, ბორდოსფერი, მწვანე და ყვითელი ქოლგები.

რამდენ ხანს ცოცხლობენ ძაღლები?

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანის და ძაღლის ასაკის შედარების პოპულარული მეთოდი, რომლის მიხედვითაც ძაღლის ცხოვრების 1 წელი ადამიანის 7 წელს უდრის, მცდარია.

კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ახალი ფორმულა შეადგინეს, რომელიც ძაღლების ზრდის სიჩქარეს ითვალისწინებს. კვლევისთვის მათ ლაბრადორები გამოიყენეს და დაადგინეს, რომ ამ ჯიშის ძაღლები ადამიანზე გაცილებით სწრაფად იზრდებიან, გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ კი ეს ტემპი უფრო ნელი ხდება.

„თუ დააკვირდებით, ეს ლოგიკურია. მაგალითად, 9 თვის ძაღლს უკვე ლეკვების ყოლა შეუძლია, ასე რომ 1:7-ზე შეფარდება მცდარია“, — ამბობს კვლევის ხელმძღვანელი ტრეი აიდეკერი.

მისი ჯგუფის შრომის მიხედვით, 1 წლის ძაღლი 30 წლის ადამიანს უტოლდება, 4 წლის ცხოველი — 52 წლის ადამიანს. მაგრამ როცა ძაღლი 7 წლის ხდება, მისი ზრდის ტემპი ნელდება. უფრო ზუსტი შედეგის მისაღებად მეცნიერები კვლევას ძაღლის სხვა ჯიშებშიც ჩაატარებენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0465; ევრო - 3.4221;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7947;
100 რუბლი - 4.2811; თურქული ლირა - 0.4444;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7921;
1000 სომხური დრამი - 6.2887.

ამინდი 6 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+37
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+34
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+20,	დღე	+39
მთიანი რაიონები -	ღამე	+17,	დღე	+36
თბილისი:	ღამე	+20,	დღე	+37

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge